ცალკე ნომერი 5 კაპ.

# ტალღა

თფილისი

ოთხშაბათი 2 (15 აგვ.) აგვისტო. 1906

წელიწადი პირველი

გაზეთის კანტორის დროებითი ადრესი: მიხეილის ქუჩა № 65.

№ 3 — ყოველ-დღიური გაზეთი. — № 3

30 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ტ ა ლ ღ ა“

რედაქციის ადრესი: Тифлисъ. Редакція „ТАЛГА“.

---

## საზოგ დოების საყურადღებოთ!

ახლო მომავალში თფილისში გაიხსნება ლაღიძის „ცნობილი წყლის“ საწყობი.

10—2

---

## დ. ხაშურსა და სურამში

10 ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებზე წლიურათ, ნახევარი წლით და თვიურათ. გაიყიდება ცალკე ნომერიც.

პორფილე მელაძე.

---

იბეჭდება და მალე გამოვა ივ. გომელაურისმიერ შედგენილი ახალი წიგნი:

„სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები“.

---

## მთავრობის პლანები.

სახელმწიფო დუმის გარეკამ გააოცა და გააშტერა როგორც პროგრესიული ნაწილი, ისე უუზომიერესი ელემენტები საზღვარ გარეთ და თვით რუსეთში. აქ ზოგიერთი ბიუროკრატებიც კი, 8 ივლისის უკაზის წაკითხვაზე, თვ ლებ-დაჭყეტილი შესცქეროდენ ერთმანეთს და აღარ იცოდენ, სიხარული უფრო მართებდათ თუ სინანული. უმრავლესობას აღარ ეგონა, თუ ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას კიდევ შესწევდა ამდენი გულადობა, მაგრამ დუმის გარეკვა ეს ის გულადობა, ის გამბედაობაა, რასაც ზოგჯერ იწვევს ხოლმე სასოწარკვეთილი მდგომარეობა, როცა ერთი დაკვრით უნდათ გასჭრან გორდიასის კვანძი, როცა ამბობენ: ან ჰო, ან არა, или панъ или пропалъ, და ერთბაშათ სდებენ საბედისწერო სასწორზე მთელ თავის ავლადიდებას. თუმცა მთავრობის საქმიანობის გარეგანი სანახაობა გვაფიქრებინებს, რომ მას თავის თავის იმედი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს.

მთავრობამ რ. ამ კარგათ იცოდა, თუ რამდენათ სახიფათო იყო მისი ნაბიჯი, ამას მოწმობს თუნდ ის გარემოება, რომ დუმის გარეკვას იგი შეუდგა დიდის თადარიგით, დიდი სამხედრო ძალა მიიზიდა პეტერბურგში და დეპუტატები ჯერ ისევ ტკბილ ძილში იყვენ, რომ თავრიდის სასახლეს ჯარები შემოარტყა. ამით მან ერთხელ კიდევ გაახსენა „ურჩ ქვეშევრდომთ“ და უფრო კი მშვიდობიან კადეტებს, რომ კვალადაც კვალად წმინდა მცნებათ არის დაცული კარდინალ რიშელიეს ცნობილი დევიზი: „თვითმპყრობელობის (სამართლიანობის) ultima ratio (უ ღრესი საბუთი) არის ზარბაზანი“.

მთავრობას შეიარაღებულ აჯანყების დიდი შიში მაინცდამაინც არა ჰქონია. ერთი რომ, მისი აზრით, „რუსის საზოგადოებაში კიდევ ბლომათ მოიპოვებიან კეთილგონიერი ელემენტები“ და ბურჟუაზიაც, რაც უნდა ოპოზიციონური იყოს იგი, საპარლამენტო რეჩებს არაოდეს არ გასცილდება. მეორეც, მუშა ხალხის აჯანყება ხომ არ არის დიდათ გასაჭირი საქმე, ამის იმედს აძლევს მთავრობას მოსკოვის მაგალითი, მაგრამ მისი უკანასკნელი და შეიძლება უმთავრესი იმედიც თურმე სულ სხვაგან ყოფილა მოთავსებული.

მთავრობის ოფიციოზმა „როსიამ“ თავის დროზე გამოამჟღავნა, რომ უკიდურესი გაჭირვების დროს რუსეთის მთავრობა რუსეთის ხალხის დასაპყრობათ მიმართავს უცხოეთის სახელმწიფოთ, უცხოეთის ჯარებს მოიშველიებს. მთავრობას განსაკუთრებულათ იმედი ჰქონია ავსტრო-უნგრეთის და გერმანიის, მაგრამ მთავრობას ცოტა არ იყოს „იღლიშათ“ მოსდის ანგარიში.

მიუხედავათ იმისა ავსტრო-უნგრეთის მთავრობა უარჰყოფს, თომ შესაძლებელი იყოს მისი ჩარევა რუსის საქმეებში, ამ დღეებში მოსული დეპეშა ბერლინიდანაც იუწყება, რომ „სიუდ ოიჩრაის, კორ.“-ში დაბეჭდილი ყოფილა ოფიციალური ცნობა, სადაც გერმანიის მთავრობა კვლავ გადაჭრით უარყოფს, ვითომ ქ სადაც ჯერ არს, ყოფილიყოს განზრახვა „გერმანია შეუსიონ რუსეთს“; მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც სავსებით გვწამს, რო ავსტრო-უნგრეთის და გერმანიის საიმპერატორო მთავრობანი გულითადათ თანაუგრძნობენ რუსეთის თვითმპყრობელობას და როგორც რეველსავე უმაღლეს შეხვედრაზე მზათ ქნებიან შეიარაღებული ხელი გაუწოდონ განსაცდელში ჩავარდნილ „თანამოძმეს“. მაგრამ ერთია სურვილი და მეორეა შეძლება ამ სურვილის განსახორციელებლათ.

თანამედროვე ევროპაში რეაქცია უკვე საგრძნობლათ წელ-გატეხილია; ყოველ შემთხვევაში მას აღარ სწევს ის ძალა და უნარი, რაც მას მოეპოებოდა „სამღთო კავშირის“ დროს, ან თუნდა მაშინ, როცა რუსეთის ჯარები იგზავნებოდა ავსტრო-უნგრეთისაკენ, რათა იქ რუსის სალდათებს სისხლის მორევში ჩაეღრჩოთ თავისუფლებისათვის ამდგარი, გაწამებული ხალხი. მას შემდეგ დრონი იცვალნე. დღეს არსებობს პროლეტარიატის დიდი საერთაშორისო მოძრაობა; დღეს არსებობს ძლიერი საზოგადოებრივი აზრი. ამ აზრის საინტერესო გამოხატულებას აღძრულ საკითხის შესახებ იძლევა ავსტრიის გაზეთი „N. fr. presse“, რა სათქმელია—სწერს იგი, რომ ავსტრიელ სალდათებმა იტვირთონ საქმე, რომელიც თვით კაზაკებსაც კი ეთაკილებათ [illegible] რუსეთის საქმეებში იმპერიის ორივე ნაწილი მეტის-მეტათ ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევდენ. არც ავსტრიელები და არც უნგრელნი არ დაღვრიან თავიანთ სისხლს და არც ფულს გაიღებენ იმის დასახმარებლათ, რომ დაახრჩონ უბედური ხალხი, რომელნიც ამხედრებულან დამპალ-დახავსებულ აბსოლიუტიზმის (ბიუროკრატიულ თვითპყრობელობის) წინააღმდეგ ადამიანურ არსებობის მოსაპოებლათ“. საზოგადოებრივი აზრი, როგორც ავსტრიაში, ისე გერმანიაში სახადივით გაურბის რუსეთის აბსოლიუტიზმის დახმარებას უმთავრესათ იმიტომ, რომ ეს დახმარება აუცილებლათ რევოლიუციას გამოიწვევდა ორივე იმპერიაში. კერძოთ გერმანიაში—როგორც სამართლიანათ ამბობდა ჟორესი—სამი მილიონი სოც.-დემ. ამაზე (გერმანიის რუსეთის რევოლიუციაში ჩარევაზე უფრო მარჯვე და უკეთეს შემთხვევას ვერ იპოვიდა საბოლოოთ განთავისუფლებულიყო გოგენცოლერნების უღლიდან, და ძნელი საფიქრებელია, რომ ვილჰელმ მეII-რემ, რაც უნდა მეგობრული განწყობილება ქონდეს რუსეთის ბიუროკრატიულ თვითმპყრობილობასთან, გამოსახსნელათ თავის გვირგვინი ჩააგდოს განსაცდელში.

ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა კი მარტო ჯარებს არ ელის უცხოეთიდან. იქიდანვე ელის ფულს, რათა უშველოს რამე თავის ხაზინის „უუდიდეს დეფიციტს საფინანსო ისტორიაში“, როგორც ამბობს გერმანელი მეცნიერი სტატისტიკური მარტინი. *) მთავრობა პლანებს აწყობდა დუმის გარეკვა ისე მოეჩვენებინა ევროპისათვის, ვითომ მან გარეკა ხალხის წარმომადგენელნი კი არა, არამედ „უბრალო კრამოლნიკები“, რომელნიც რაღაც განგებით მოყვენ დუმაში, რომელნიც აღმაშფოთებელის უპატივცემულობით ეკიდებოდენ მეფის პრეროგატივებს და ნაცვლათ იმისა, რომ პარლამენტარული გზით გადაეწყვიტათ საქვეყნო კითხვები, ისინი ხალხს იწვევდენ შეიარაღებულ აჯანყებისათვის და სოციალური რევოლიუციის მისახდენათ. მთავრობა ფიქრობდა, რომ დუმის გარეკვის შემდეგ ის უფრო ძლევა მოსილი გამოჩნდებოდა უცხოეთის სახელმწიფოთა წინაშე. მაგრამ მას აქაც აერია ანგარიში. თურმე თვით ოფიციალურ ევროპის ბანკირებს, ფინანსისტებს—თავის საკუთარი, რუს-ბიუროკრატიისაგან დამოუკიდებელი, აზრი და შეხედულება ჰქონიათ რუსეთის საქმეებზე. აი რასა სწერს იმათი ორგანო ინგლისური „Times“-ი. „დუმის დაშლით მთავრობამ მოატყუა ნდობა დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებისა, რომელნიც მხოლოდ იმიტომ დათანხმდენ რუსეთისთვის თავის უკანასკნელ სესხის მიცემაზე, რომ დაჰპირდენ რუსეთის კონსტიტუცია ხელშეუხებელი იქნებაო. დუმის დაშლამ დაამტკიცა, თუ რამდენათ მართალნი იყვენ ისინი, ვინც იმუდარებოდა აღარ მიგვეცა ფული რუსეთის აბსოლიუტიზმისათვის. როგორ შ უძლია მთავრობას დაცარიელებულ ხაზინით და საეჭვო ერთგულების არმიით დაიმორჩილოს ხალხი, რომელიც დღეს იმავე მთავრობის სიბეცის წყალობით აღჭურვილია წინათ უცნობის ძლიერებით და ერთსულოვნობით“. თავის თავათ ცხადია, რომ ოფიციალურ ევროპას რუსეთის კონსტიტუციის ბედ-იღბალი აინტერესებს არა იმიტომ, რომ ამასთან შეერთებულია რუსეთის ხალხთა ბედ-იღბალი, არა, მას ალაპარაკებს საკუთარი ჯიბის ინტერესები. ევროპას სხვილ ბურჟუაზიამ კარგათ იცის, რომ, როცა მთავრობა შეშინებული გაურბის სახალხო წარმომადგენლობის კონტროლს, მაშინ სახელმწიფო ფინანსიურათ თუ ჯერ არ გაკოტრებულა, გაკოტრების პირზე მაინც უნდა იყოს მისული. ასეთი მდგომარეობა კი დახაც რომ ვერაფერი თამასუქია კრედიტებისთვის. მეორე მხრივ, იგივე ბურჟუაზია კარგათ ხედავს, რომ რუსეთმა უკვე მიაღწია განვითარების იმ ხანას, როცა აუცილებელი ხდება სახალხო მართვა-გამგეობა; მან გამოცდილებით კარგათ იცის, რომ ამ შემთხვევაში ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და ჯიუტობა მხოლოთ აძლიერებს რევოლიუციას და ახანგრძლივებს ქვეყნის ანარქიას, რომელიც, რა თქმა უნდა, არამც თუ არ არის ხელსაყრელი უცხოეთის ბურჟუაზიისათვის, რომლის კაპიტალებიც დაბანდებულია რუსეთში, ეს ეხება სასიცოცხლო ინტერესებს მთელ ბურჟუაზიისას. ევროპიელთ რომ სცოდნიათ რუსეთის დღევანდელ მდგომარეობის დაფასება ამასა

*) ამ სწავლულის გამოანგარიშებით, ის საშინელი დეფიციტი, 481 მილიონი მან., რაც მთავრობის მიერ ნაჩვენებია 1906 წ. სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაში, ნამდვილათ ორჯერ მეტი უნდა იყოს.

---

# ფელეტონი

## საყოველთაო საარჩევნო უფლების წარმოშობა *)

(ფრანგულიდან)

ამ ბოლო დრომდე ქვეყანაზე ძლიერ გავრცელებულ ცრუმორწმუნეობათა შორის არ მოიპოება იმაზე უდიდესი ცრუმორწმუნეობა, ვითომ საქვეყნო საქმეების მართვა-გამგეობაში მონაწილეობას უნდა იღებდეს მხოლოდ უძრავი ან მოძრავი ქონების პატრონი და ღარიბებს ამაში არაფერი არ უნდა ეკითხებოდეთ. მე ვეცდები მოკლეთ რასაკვირველია, დაგანახოთ, რომ ეს ცრუმორწმუნეობა შედარებით ახალ დროის ნაყოფია და რომ უწინდელმა ხანამ, ისე როგორც საშუალო საუკუნოებმა, არ იცოდა იგი. ასეთი აზრი აუცილებლათ იწვევს იქვიანობას. როგორ,—მეტყვიან,—თქვენ ამბობთ საყოველთაო საარჩევნო უფლება არსებობდა ისეთ დროს, როცა მთელი საზოგადოება დაყოფილი იყო სხვადასხვა წოდებათ? შეიძლება ეს უფლება არსებობდა თითო-ოროლა ფილოსოფოსის თავში და არა თვითონ ცხოვრებაში? არა, ბატონებო, იგი არსებობდა თვით ცხოვრებაში ყველგან, სადაც კი მეფისა და არისტოკრატიის გაბატონებას ჯერ კიდევ სავსებით არ მოესპო პირვანდელი დემოკრატია.

ინგლისის სახელოვანმა ისტორიოგრაფმა ბ. ფრიიმანმა თვალნათლივ და გარკვევით დაამტკიცა, რომ ჰომეროსის დროის საბერძნეთში და შემდეგაც სპარტასა და ათინაში ოჯახის ყველა უფროსები იკრიბებოდენ ხოლმე საჯარო მოედანზე, რასაც ერქვა აგორა, და მათი ბჭობა-თათბირი სწყვეტავდა ხოლმე მეფეებისა და ერის სხვა პოლიტიკურ უფროსთა ბედ-იღბალს. სახელდობრ, ათინაში ხმა ეძლეოდა მოქალაქეთა ოთხივე კლასს, არ იყვენ გაბატონებულნი არც სხვის მიწაზე მცხოვრებნი და არც საკუთრებას მოკლებულნი. ამგვარ რეჟიმის დასამყარებლათ არ ყოფილა საჭირო ეფიალტისა და პერიკლესის რეფორმები, ე. ი. ათინის დემოკრატიის სრული აყვავება. არისტოტელი აცხადებს, რომ ჯერ ისევ სოლონის დროს მთელი ხალხი მოწოდებული იყო ხოლმე ფიცი დაედო, რომ იგი შეასრულებდა რეფორმატორისაგან მიცემულ კანონებს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს კანონები უნდა მიღებული ყოფილიყო ყველა სრულ წლოვან მოქალაქის მიერ, რომლებიც საამისოთ, იკრიბებოდენ ხოლმე ცას ქვეშ, საჯარო მოედანზე ანუ ეკლესიაზე. ბევრი რამ შეიძლებოდა გვეთქვა ძველი რომის comiu (ხალხის ყრილობა რომში) შედგენილობასა და უფლებაზე. მაგ. მეტის-მეტად საინტერესო იქნებოდა დაგვეხატა ის ხანგრძლივი პროცესი, რომლის წყალობით პლებეებმა და მათ წარმომადგენლებმა (არჩეული) „ტრიბუნებმა“, ვინც პირველში სრულიად განდევნილ იყვენ საქვეყნო საქმეებიდან, დაბოლოს ხელთ იგდეს დაახლოებით ისეთივე უფლებები, როგორიც ქონდათ პატრიცებს. მარა ჩვენი მიზნისათვის საკმაო იქნება აღვნიშნოთ ამ ხანგრძლივი ევოლიუციის დასაბამი და დასასრული. რესპუბლიკის პირველ ხანებში ასეულთა *) ყრილობებზე პლებეებს მინიჭებული ჰქონდათ ძალიან მცირე ხმა. მათ არ შეეძლოთ გამკლავებოდენ პატრიციებს, ვისაც (80) ოთხმოცი ხმა ქონდათ მიცემული-და რაინდების ასეულებს, ვისაც თექვსმეტი (16) ხმა ქონდა. მეორე მხრივ, 494 წ. ქრისტეს წინად, დაწესებულ პლებეებთა ყრილობებზე მიღებულ გადაწყვეტილებათ ძალა ქონდათ მხოლოდ ისეთ საკითხებში, რომლებიც მარტო თვით პლებეებს ეხებოდათ. უკვე 449 წ. ამ დადგენილებათ ისევე უყურებენ, როგორც კანონებს; მარა დიდხანს ეს იყო მხოლოდ ფორმალურად, სინამდვილეთ კი იქცა 339 წლიდან, როცა გამოცემულ იქმნა ცნობილი კანონი წოდებული publilia khilanis.

მართალია, კიდევ რამდენსამე ხნის განმავლობაში, თანახმად ცნობილი წესისა „Papuli comitia ne esset rata nisi ea partum aprobuiset auctoritas“, პლებისციტს (ხალხისაგან მიღებულ გადაწყვეტილებას) უნდა მისცემოდა ხოლმე სენატის თანხმობა; მაგრამ 286 წ. ქრისტეს წინათ გამოცემულ იქმნა კანონი (Lex Hortencia), რომლის მიხედვით ხალხის ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ძალაში შესასვლელათ აღარ ესაჭიროებოდა სენატის თანხმობა. ამგვარად, საყოველთაო საარჩევნო უფლება საბოლოოთ დამყარდა რომში. თვით ხალხი იყო თავის სვე-ბედის ბატონ-პატრონი. ხალხის ამგვარ უფლებას არსებითათ ვერა დააკლო-რა ავგუსტის იმპერიამ, მაგრამ ტიბერის დესპოტიზმმა კი ბოლო მოუღო.

მეომარი თემები (tribus), რომელთა შემოსევამ რომის იმპერიაში დასაბამი მისცა თანამედროვე ისტორიას, აგრეთვე მოწინააღმდეგე იყვენ ყველა იმ მთავრობისა, რომელიც დამყარებული არ იქნებოდა საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე. ეს ითქმის როგორც ტაციტის მიერ აღწერილ გერმანელებზე, ისე სლავიანებზე. თვით რუსეთშიაც სახალხო კრებები არსებობდენ მთელი საუკუნოების განმავლობაში; გაუქმებულ იქნენ მხოლოდ თვითმპყრობელობის გამარჯვებასთან ერთად, პირველში, დიდი მთავრების დროს და შემდეგ მოსკოვის მეფეების დროს.

ჩვენებური „ვეჩე“ სავსებით ჰგვანდა თავის დემოკრატიული ხასიათით გერმანელთა ხალხის ყრილობებს, რომელთა შესახებ ტაციტი ამბობს: „ნაკლებათ საყურადღებო საქმეების შესახებ ხალხის უფროსები თათბირობენ თავიანთ შორის, ყველა დიდ მნიშვნელოვან საკითხს კი არჩევს მთელი ხალხი. ამგვარ სახალხო კრებებიდან კარლოვინგების ეპოქის ფრანგებს შერჩათ მხოლოდ მარსის მოედანი და მაისის მოედანი; თვითმპყრობელი მთავრობას ხელში ამგვარი კრებები გადაიქცნენ სამხედრო აღლუმებათ და იმ ადგილებათ, სადაც კანონების გამოსვლას გამოაცხადებდნენ ხოლმე.

შემდეგში, როცა მშვენიერმა ფილიპემ (ფრანგ. მეფე) 1302 წ. სასარგებლოთ დაინახა და მოუწოდა თავის სახელმწიფოს ყველა წოდებათ აერჩიათ წარმომადგენელნი Etats généraux-ს შესადგენათ, prévot-ებს *) და baillis-ებს **) დაევალათ მოედანათ თავ-თავიანთ მაზრებში ყველა სრულ წლოვან ახალ-გაზდათა კრებები. ამ კრებებზე საერთო ხმით არჩეულ იქნენ „მესამე წოდების“ დელეგატები თუ არა ამომრჩევლები მაინც. ეს ფაქტი სინათლეში გამოიტანა ბ. ჰერვიომ თავის სამეცნიერო მონოგრაფიაში შესახებ Etats généraux-ს არჩევნებისა მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეში. ამგვარსავე მოვლენას ვხედავთ ინგლისშიაც მარა ანგლო-საქსონიის მონარქიის დროს კი, არა უფრო ადრე; უფრო შორეულ წარსულში უნდა გადავიდეთ, რომ ვნახოთ ისეთივე პოლიტიკური კრებები, როგორიც იყო ძველი რუსეთის „ვეჩე“ ანუ უწინდელი გერმანიის სახალხო კრებები. ჰეპტარხის ***) დროს და თვით ანგლო-საქსონების პატარ-პატარა სახელმწიფოთა გაერთიანების დროსავე ეგრეთ წოდებული „ფოლკმოტები“ (სახალხო ყრილობანი) გაუქმებულია და მის ნაცვლად ვხედავთ ეგრეთ წოდებულ „ტანების“ და „ვიტანების“ (ე. ი. სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა) რჩევებს. მხოლოდ მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა „კომუნებს“ პირველად უფლება მიეცათ აერჩიათ წარმომადგენლები ეგრეთ წოდებულ „დიდ საბჭოსა“ და ლორდების პალატაში, შერიფებს, ე. ი. გუბერნატორებს ბრძანება მოუვიდათ აერჩიათ სახალხო პალატისთვის დელეგატები თავ-თავის გუბერნიის სახალხო ყრილობებზე. ამ ნაირათ წარმოიშვა ინგლისში საყოველთაო საარჩევნო უფლება. იგი არსებობდა მეხუთმეტე საუკუნემდე; ამ ხანაში, მემამულეთა არისტოკრატიის გაძლიერების და ქალაქების ოლიგარხიის წყალობით შემოღებულ იქმნა ქონებრივი ცენზი გუბერნიის (comte) ამომრჩევლებთათვისაც. საარჩევნო უფლება ეძლეოდათ იმ მემამულეთ, ვისი წლიური შემოსავალი იყო არა ნაკლებ ორმოცი შილინგისა *). ამ ცენზს აღკვეთდენ ნაფიცი მსაჯულები. იმავე ეპოქაში ძველი მუნიციპალური გამგეობა გადავიდა ვაჭრებისა და მანუფაქტურულ წარმოების მქონეთა კორპორაციის ხელში, და მით თითქმის სრულიად მოისპო სახალხო საბჭოები, რომელნიც ერთხელ მართავდენ და განა-

*) სიტყვა წარმოთქმული ბ-ნ მაქსიმ კოვალევსკის მიერ ბრიუსელის ახალ უნივერსიტეტის 1900—1901 სასწავლო წლის გახსნაზე.

*) ძველათ რომის ხალხი ასეულებათ იყო დანაწილებული. მთარგ.

*) უდრის უწინდელ ჩვენებურ დიამბეგებს.

**) მსაჯული იმ დროინდელ საფრანგეთში.

***) ჰეპტარხია ძველ გერმანელთაგან დიდ ბრიტანიაში დაარსებული შვიდი სახელმწიფო.

*) ახლანდელი კურსით 40 შილინგი უდრის 20 მანეთს.

მოწმობს მეორე ინგლისური გაზეთი Daily Chronicle-ი რომელიც დუმის დაშლის შესახებ სწერს: „მტარვალობამ პირბადე აიხადა... ამბობენ, დუმა ხელ-ახლად მოწვეულ იქნებაო, მაგრამ იმის იმედი, რომ ახალი დეპუტატები წინანდელებზე ხომიერები გამოდგებიანო, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ იქონიონ, თუ დეპუტატებს არჩევის ნაცვლად, ზემოდან დანიშნავენ. არც ერთი რუსეთის მოქალაქე თავის ხმას არ მისცემს მტარვალების მთავრობას; ამას კენჭს ჩაუგდებენ მხოლოდ მისივე მოჯამაგირეები—ჩინოვნიკები და ისინი, ვისაც იგი ხმარობს პოგრომების მოსახდენათ“. ასეთ ენერგიულ სიტყვებს და ასეთ ცხარე კილოს, რასაკვირველია, ოფიციალური ევროპა ვერ იხმარს, მარა, როცა ინგლისის მთავრობის სახელით, მინისტრ-პრეზიდენტმა კემპბელ-ბანერმანმა საპარლამენტთა-შორისო კონფერენციაზე შეძახა: „დუმა მოკვდა, გაუმარჯოს დუმას“! მან იგივე აზრი გამოსთქვა, რაც ზემოთ მოყვანილ ციტატაში.

დიახ, ევროპას კარგათ ესმის რუსეთის დღევანდელი პოლიტიკური ვითარება და დუმის გარეკას ის ვერ მოუწონებს ბიუროკრატია-კამარილას. გაბოროტებული მთავრობა ეხლა კვლავ ეფიცება მას თავის ლიბერალობას. სტოლიპინი ინგლისელ ჟურნალისტს „Daiy Telegraphe“-ის კორესპონდენტს ემუდარება გაავრცელოს საზღვარ-გარეთ ის აზრი, რომ „ახალ“ სამინისტროს პროგრამაში მსხვილი ასოებით სწერია „მაღალი ლიბერალიზმი“ და სხვ. სტოლიპინი ამავე მიზნით ცდილობს ერთი ორი ლიბერალი მაინც შეიყვანოს თავის სამინისტროში. სტოლიპინი შინ და გარეთ ყველას არწმუნებს, რომ იგი რეფორმების გზაზე სდგას, რომ იგი დიდად აფასებს პრესის თავისუფლებას და სიმართლის გამოაშკარავებას, მაგრამ სიმართლეს ყოველ მხრიდან კარებს უხშობენ, სასტიკათ სდევნიან ყოველ მართალ სიტყვას. სტოლიპინის მთავრობა არწმუნებს რომ ხალხის თავისუფლებას ვემსახურებით და იმავე დროს შეიკვებია ჰქონდა ძველ რეჟიმში ამოჭრილ თავისუფლების ერთად ერთ სარკმელს (დუმას)...

მთავრობის სიტყვა და საქმე ორივე ერთად ბეჭდით იწვევენ სახალხო შეიარაღებას. მთავრობა თავის ხელით იცხრის თავის სამარეს.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

✦ გუშინ, ნაშუადღევის 2 საათზე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი სახელმწიფო დუმის მოკლულ დეპუტატის **მ. გერცენშტეინის პატივსაცემლათ.** პანაშვიდს დაესწრენ ქალაქის თვითმართველობის, თფილისელ კადეტების და სხვა პოლიტიკურ პარტიების, პრესის წარმომადგენლები და მოხელეები.

✦ ნამესტნიკის კანცელარიამ შემდეგი შინაარსის ქაღალდი გამოუგზავნა სინოდალურ კანტორას: 26 ივლისის გაზეთ „ოტგოლოსკი“-ს ნომერში მოთავსებული იყო შენიშვნა, რომ მღვდელმა ფოფხაძემ იმერეთის სამღვდელოების სახელით, მღ. ს. თოთიბაძემ, ე. ჩხაიძემ და ლ. წულაძემ გურიის სამღვდელოების სახელით დეპეშა გააგზავნეს **უწმ. სინოდში**, სადაც პროტესტს აცხადებდენ ახალ ეგზარხოსის დანიშვნისა და საქართველოდან გელათის წინამძღვრის არქიმანდრიტ ნიკოლოზის გაძევების გამო. ამის პასუხათ სინოდმა ქაღალდი გამოუგზავნა ადგილობრივ ეპისკოპოსს, რომლითაც ხსენებულ მღვდლებს მღვდელ-მოქმედება ეკრძალებათ და კანონისდაგვარათ დასჯას პირდებიან. ნამესტნიკის კანცელარია ეკითხება სინოდალურ კანტორას—მართალია თუ არა ეს ამბავი და სინოდალურმა კანტორამ რა განკარგულება მოახდინა ამათ შესახებ.

✦ გუშინ, 1 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე **კავკასიის ნამესტნიკი** კოჯორში წავიდა. კავკასიის ნამესტნიკმა ბრძანა შეცვალონ თფილისის კრუჟოკის წესდების მე-40 §. ამ მუხლით გენერლებსა და აფიცრებს შეუძლიათ შევიდენ შეიარაღებული კრუჟოკის საზაფხულო სადგომში.

✦ 30 ივლისს, საღამოს 10 საათზე, მიხეილის ქუჩაზე, სახლი № 55-დან ვიღაც უცნობთ **გაუტაცნიათ** ორი ბერდანის თოფი, ერთი „ცენტრალკა“, 4 რევოლვერი და 12 შეკვრა რევოლვერის პატრონები. უცნობთ სახლის პატრონის პატარა ბავშვიც გაყოლია.

✦ თფილისში 30 ივლისს ჩამოვიდა ყოფილი სახელმწიფო დუმის წევრი **ი. ბარათაშვილი.**

✦ პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელი მეათე ნაწილის ბოქაული **ბოიარინოვი** პოლიცმეისტრის თანამდებობიდან გადააყენეს. ამ თანამდებობას დროებით შეასრულებს ბოიარინოვის თანაშემწე მანდურიკინი.

✦ დღეს, საღამოს 6 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება პირველი კრება ქალაქის გამგეობასთან არსებულ კომისიისა, რომელიც ზუბალოვის სახელობაზე აშენებულ ქალაქის თავ-შესაფარის საქმეებს განაგებს, კომისიაში შედიან ქალაქის წარმომადგენელთა გარდა სახალხო კითხვის, სიფხიზლის საზოგადოების, ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგადოების და კ. ი. ზუბალოვის მემკვიდრეების წარმომადგენელი.

✦ 31 ივლისს დილის 6 საათზე, თფილისის სადგურზე დააპატიმრეს ა. ნ. თავრიზოვი და საკომენდანტო სამმართველოში წაიყვანეს.

✦ როგორც „კ.“ გადმოგვცემს, თფილისის ფოსტა-სატელეგრაფის ოლქის უფროსი **ლინსენი** პეტერბურგს გაუწვევიათ.

✦ როგორც იგივე გაზეთი გადმოგვცემს, თფილისის **უსახელო ხოგადოებას** მიუმართავს სამხრეთ-რუსეთ ტრამვაების უფროსი ბ-ნ ფაინისთვის უთხოვია საქართველოთ ჩამოვიდეს და თფილისის ტრამვაის გამგეობა იკისროს, სან ამ თანამდებობაზე მოკლულ ეიდელმან ჯინის მაგივრათ ახალი პირი დაინიშნებს.

✦ თფილისის **თამქოს ქარხნის პატრონები და გაფიცული მუშები შეთანხმდენ.** მუშების მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქმნა. დაწესდა 9 საათის სამუშაო დღე. ქარხნის პატრონ იძულებულნი გახდენ გაფიცულ დროს მუშებს 25 ათასი მანეთი მისცენ. სამუშაო ქირაც მოუმატეს. გუშინ წინ ქარხნებში მუშაობა განახლდა.

✦ კვირას, ოთხ საათ სახლიდან წავიდა პურის მოსატანათ 11 წლის ყმაწვილი **ალექსანდრე კარელი** და დაიკარგა. ვინც ნახოთ გთხოვთ გვაცნობოთ გოგოლის ქუჩაზე № 26, ალექსანდრე კარელიძეს.

✦ 27 ივლისს **სინოდალურ კანტორის დაბალ მოსამსახურეებმა,** რიცხვით 21-მდე კაცმა, თხოვნის ფორმით მოთხოვნები წარუდგინეს თავიანთ უფროსს. მოსამსახურენი თხოულობენ: 1) მხელეთა სამ კატეგორიათ დაყოფას (დღემდე მოხელენი 4 კატეგორიათ იყოფოდა), პირველ კატეგორიის მოსამსახურეებს დაენიშნებათ ჯამაგირი არა ნაკლებ 40 მანეთისა, მე-2 არა ნაკლებ 35, ხოლო მესამე 30 მ.; 2) რომელიმე მოსამსახურის სიკვდილისა თუ ისე გასვლის შემდეგ დაცლილ ვაკანსიაზე შემდეგი რიგის მოსამსახურე უნდა იქმნას მიღებული; 3) მოსამსახურეებს სამსახურში მიღებისათანავე უნდა დაენიშნოთ ჯამაგირი და არა როგორც დღემდე იყო (ორ თვეს უფასოთ უნდა ემსახურნათ); 4) მოსამსახურეებს ერთდროული დახმარება უნდა ეძლეოდეს ზოგიერთ შემთხვევებში, მაგ. თავის ან ცოლ შვილის ავათმყოფობის დროს და სხვ.; 5) მოსამსახურეებს რიგობით წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მიეცეს ერთი თვით „ოტპუსკი“; 6) მოსამსახურეებს უფროსები ზრდილობიანათ უნდა ეპყრობოდენ და სხვ. ეს მოთხოვნები 28 ივლისს კრებაზე განიხილეს და დაადგინეს, აღეძრათ უწმინდეს სინოდის წინაშე შუამდგომლობა, რომ მოსამსახურეთათვის საჭირო თანხა გადაედოთ, მაგრამ მოსამსახურენი ამით არ დაკმაყოფილდენ, რადგან დაპირებას ვერ ენდვენ და იძულებული შეიქნენ გაფიცულიყვნენ. ამის გამო 29 ივლისს გენერალ-გუბერნატორმა სინოდალურ კანტორას ქაღალდი გამოუგზავნა, სადაც ნათქვამია, თუ პირველ აგვისტოს მოსამსახურენი მუშაობას არ დაიწყებენ თავის ნებით, დაქირავებულები დაითხოვეთ, ხოლო ნამდვილ სამსახურში მყოფნი კი პასუხის-გებაში უნდა იქნენ მიცემულიო. ამის პასუხათ გაფიცულ მოსამსახურეებმა მეორე ქაღალდი მისცეს კანტორის პროკურორს, სადაც განაცხადეს, ჯერ-ჯერობით ორი თვის ჯამაგირამდე ერთდროულ დახმარებათ მოგვეცით და მუშაობას დავიწყებთო. იმავე დღეს დაინიშნა საგანგებო სხდომა, რომელზედაც დაადგინეს დეპეშით თხოვონ სინოდს მოსამსახურეებისთვის ნება დართოს საქართველოს საეკლესიო თანხიდან 878 მანეთი გადაიღოს. გუშინ, 1 ლ აგვისტოს მოსამსახურეები თავიანთ საქმეებს დაუბრუნდენ.

✦ რედაქციამ მიიღო პოლიტიკურ ტუსაღების სასარგებლოთ ცამეტი მანეთი N-საგან.

✦ ამ დღეებში ყარსის ოლქის ს. ახბადის მცხოვრებ ქურბალაა უმბეტ-ახმეტ-ოღლიმ თფილისში 235 სული მსხვილი საქონელი ჩამორეკა და ბეითლების შემოწმების შემდეგ ნავთლუღის მახლობლად დაბანაკდა. ამათთანვე იყო 12-მდე თათარი, რომელთაც ბორჩალოს მაზრიდან ცხვრები ჩამოერეკათ. 31 ივლისს ღამის 12 საათზე ამათ თავს დაესხა 16 შეიარაღებული ცხენოსანი. ამათში ხუთი კაცი საერობო დარაჯების ფორმაში იყვნენ გამოწყობილი და უბრძანეს დამსწრეთ მიწაზე გაწოლილიყვნენ. სხვებმა, ამ დროს 103 სული საქონელი წაასხეს. ცოტახნის შემდეგ ამათაც დაედევნენ უკან. 1 აგვისტოს, დილით ყველა მეჯოგეებმა თფილისის ადმინისტრაციას შეატყობინეს ეს ამბავი.

**ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ.** გუშინ ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ 29 ივლისს მეათე საპოლიციო უბანში (ჩაძალადევში) პაკროვსკის ქუჩაზე, გაუძარცვავთ სახლი ალექსი თევზაძისა. ამ სახლში ნიკო ქორიძე მდგარა, რომლისთვისაც უცნობთ 85 მანეთამდე ღირებულების სხვადასხვა ნივთები აულიათ.

# პროვინცია.

**ლანჩხუთი.** დღევანდელმა ცხოვრებამ ნათლად დაანახვა ყველა იმას, ვინც თვალყურს ადევნებს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, რომ ხალხის განთავისუფლება ხალხისვე ძალღონითაა შესაძლებელი, რომ ეს განთავისუფლება ათასგვარ გაჭირვებას და ვაებას მოითხოვს.

ასე ხდება ყოველგან სადაც ძველ დუხჭირ ცხოვრებას ნიადაგი ეკარგება და ახალი თავისუფალი ცხოვრება იწყება.

ჩვენს დაბასაც ასეთ გაჭირვებას განიცდის ხალხი. ბოქაულ მაქაშვილის წყალობით, რომელმაც იმ დღესვე, როცა გაიგო სახელმწიფო სათათბიროს გარეკა, რომ მით მთავრობამ სადა გაარტყა ხალხს, რომ მათ რეაქციამ ხალხს ნამდვილი ომი გამოუცხადა, და თვით ამ დღიდან ის ვაჟბატონი, რომელიც „შენდობას“ და „შეწყნარებას“ თხოულობდა, ეს ვაჟბატონი „საერობო დარაჯების“ თანხლებით წრიალებს სოფელ-სოფელ და ვინც „ცილინდრიანი“ ხვდება გზაში მათრახით უმასპინძლდება. ასე ხუდიგანმა მაქაშვილმა ხელით შეურაცხყო რაჟდენ წულუკიძე, ისაკი ფირცხალაშვილი, კოწია ზენაიშვილი, იასონ იმნაიშვილი, სურგულაძე, ებრაელიძე და ბევრი სხვები და მერე იცი, მეთხველო, რისთვის? იმისთვის რომ მაქაშვილს მუხლმოდრეკით თავები ვერ სცეს! ეს კიდევ ცოტა სასჯელია! იმ ღამესვე შუაღამის 1 საათზე თავის ბინაზე დაეცა „ლამპარ-შაქრიკის“ კორესპონდენტს ამხ. თედორე ღლონტს, იმისთვის რომ მან ხალხს გაცნო მთავრობის მოქმედება მხარეში. როგორც შევიტყვეთ, კორესპონდენტი მაქაშვილს კაზაკების კაზარმაში გაუგზავნა და ერთი კაზაკისთვის უთქვა: „ეს ჩვენი მტერია, ეს არის გაზეთებში რომ გვლანძღავს და გვიახსოვოთ“, მაგრამ კაზაკებმა ბოქაულის სიტყვას ყურადღება არ მიაქციეს და კორესპონდენტს ზრდილობიანათ შეხვდენ. შემდეგ ამისა ბიუროკრატიულ მთავრობის ჰაწაწა ბაშიბუზუკმა დღეს ქუჩების ფარნებიც დააქრო ფეირიკი.

ყველა ეს იმას მოწმობს, რომ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უნდა წარლეკოს ის მავნე ელემენტები, რომლებიც ცდილობენ ისტორიის ჩარხი უკუღმა დააბრუნონ, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ხალხის ძალა მომაკვდინებელ დახვარს დასცემს, თვითმპყრობელობას და ქვეყნად აღანთებს თავისუფლების ლამპარს.

თ. ლისაშვილი.

# პატარა ფელეტონი

## ᲣᲜᲘᲑᲣᲠᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ.

უნებურად ვმოგზაურობ,
გამიგზავრა ბიძა-ჩემმა,
წაწყმენდილმა ჩემი სახლი
წამართვა და დაიჭირა!

—

სახლის ქირას მე თვით ვიხდი,
ის კი სახლში ჰამპალუშობს,
ხან ქალაქში, ხან სოფელში
უკან დამდევს და ჯაშუშობს!

—

მიმატოვე მეც სახლ-კარი,
ხან აქა ვარ და ხან იქა,
კატო, ლამის კარავზა
სამუდამოთ მე დავერქვა!

—

უნებურათ, თვით მტრისა
დაამოწმებს ამას კარგათ,
რომ სხვა მქვიან და სხვა სახელს
მთარევ რადა მე მეტ ბარგათ!

—

თუმც „ბაგაჟი“ კი არ მამძიმებს:
საგარეჯელი, ჰარასწრედი,
სულ უფულოთ ათას ვერსზე
ბიძის ეტლით გადავედი!

—

მაგრამ მას კი ნურვინ იტყვის
ვითომც ვიყო მგლოვიარე,
არა, სადაც უნდა ვიყო,
სადაც გვთაგო მე სამარე;

—

სულ ერთია ჩემთვის იგი,
არ ვივიწყებ მაინც ბიძას,
მგონი მალე მივაბარებ
სულ წაწყმედილს მე შავ-მაჩას!

—

გებდენ მთელი ქალაქის მცხოვრებთა საქმეებს. მუნიციპალიტეტი თანდათან შემცირდა; და ბოლოს მის წევრთა რიცხვი დგებოდა კოოპტაციის საშუალებით. აი ამ პაწია ჯგუფს—მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება აერჩია ხოლმე მთელი ქალაქისთვის წარმომადგენლები პარლამენტში.

ამ გვარად, უწინდელ დროს და საშუალო საუკუნოების განმავლობაში, თითქმის მონარქიულ ქვეყნებშიაც კი, ჩვენ ვპოულობთ კვალს და ნაშთებს პირვანდელ დემოკრატიისას. თავისთავად ცხადია, რომ კიდევ უფრო მეტ ნაშთებს ვპოულობთ იტალიისა და გერმანიის ქალაქთა რესპუბლიკებში, სადაც პერიოდულათ სდგებოდა ხოლმე სახალხო კრებები სხვა და სხვა სახელებით: arringha, parliamentum, commune consiljum ou plautum და სხ. კომუნალურ თავისუფლებათა მოპოების შემდეგ კიდევ მთელი საუკუნოების განმავლობაში კონსულები და ქალაქის სხვა „მაგისტრატები“ (მოხელენი) თავის თანამდებობათ ასრულებენ პირდაპირ ხალხის კონტროლის ქვეშ; და ბოლოს კი ეს კონტროლი გადადის დიდსა და პატარა საბჭოების ხელში, რომელთაც ადგენენ ბურჟუაზიის მდიდარი ოჯახები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ ისევ მე-XIII-ტე და მეთოთხმეტე საუკუნოებში იტალიის არა ერთმა და ორმა ქალაქმა სცადა —უმეტეს ნაწილად უნაყოფოთ—გაეფართოებინა სუვერენიტეტის საფუძველი, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლება popolo grasso-სთან, ე. ი. მსხვილ ბურჟუაზიასთან ერთად—რომელიც შესდგებოდა უმაღლეს ხელობათა წარმომადგენლებისაგან—უფლება მისცემოდა აგრეთვე მდაბიო ხალხსაც, მდაბალ ხელობათა წარმომადგენლებს. მართალია, უბრალო მუშები, ვისაც არ მოეპოებოდათ კორპორატიული (ამქრული) ორგანიზაციები სრულიად მოკლებულნი იყვნენ უფლებებს რაიმე მონაწილეობა მიეღოთ საზოგადო საქმეებში, მარა ისინი კმაყოფილნი როდი იყვნენ ასეთი მდგომარეობით. ისინი არა ერთხელ შეეცადნენ ხელში ჩაეგდოთ პოლიტიკური ძალა, რომ რესპუბლიკის წყობილება შეეცვალათ თავიანთ სასარგებლოთ. ასეთი მიზანი ჰქონდა მაგ. ჩიომპი და ფლორენციის ცნობილ აჯანყებას. (ბელადთა შეუთანხმებლობის გამო, როგორც ჩქარა მოხდა აჯანყების გამარჯვება, ისევე ჩქარა დაიღუპა აჯანყებულთა საქმე აჯანყებულთავე სისხლში). ამგვარსავე მოძრაობას, ამგვარივე შედეგით, ადგილი ჰქონდა აგრეთვე იტალიის სხვა ქალაქებშიაც. არისტოკრატიულ ვენეციაშიც კი ბეამონტე ტიეპოლომ სცადა—უნაყოფოდ კი—დაერღვია დოჟ *) პიეტრო გრადენიგოს მიერ შემოღებული კონსტიტუცია, რომლის ძალით საქმეების მართვა-გამგეობიდან განდევნილი იყო ყველა ოჯახი, რომელსაც კი არ მოეპოვებოდა ხუთი წლის ბინადრობა 1297 წლის დამლევამდე. რომ ამ გვარსავე მოთხოვნილებებს მდაბიო ხალხი აყენებდა არა მარტო იტალიაში, ამას მოწმობს თუნდ პარიჟისა და ლონდონის მაგალითები, სადაც მეთოთხმეტე საუკუნის შუა ხანებს თუ მეორე ნახევარში, აჯანყებულ გლეხობას მხარს უჭერდა ხოლმე ქალაქების მუშა ხალხი, რომელიც მუდამ ესწრაფოდა ბოლო მოელო დახურულ საბჭოებისთვის, სადაც წევრებს იღებდენ კოოპტაციით. ასე მაგ. გლეხობამ მტკიცე მოკავშირეობა გაუწია მარსელ ეტიენს; **) იმავე გლეხობას (ვინგინდარებს, ყმებს), რომელთაც მეთაურობდა ვოტ ტეილორი და სხვანი საუთვორკში და ლონდონის სხვა სახალხო უბნებში, ქალაქის მუშა ხალხი აღტაცებით ეგებებოდა ხოლმე მეთექსმეტე საუკუნის დამდეგაც—როცა კარლოს მეხუთე უკვე გამოცხადებულია იმპერატორათ—ჩვენ ვხედავთ, რომ არაგონის სამეფოს ქალაქები, სახელდობრ ვალენსი კვლავ ეძლევიან აჯანყებას, რათა დაამყარონ დემოკრატიული საქალაქო მართვა-გამგეობა და შემოიღონ თავის საქალაქო მილიცია. დემოკრატიულ მოთხოვნათ ვხედავთ აგრეთვე რეფორმაციის დროსაც; მაშინ, როგორც უწყით, ჟან დე ლეიდმა და ანაბაპტისტების სხვა მეთაურებმა ქალაქ მიუნსტერში თანასწორობის რესპუბლიკის დაარსებაც კი სცადეს. მაგრამ აი მეთექსმეტე საუკუნის დამლევიდან და მეჩვიდმეტეს პირველ ნახევრიდან, როცა თვითმპყრობელობის პრინციპი უკვე საკმაოდ გაიშალა და გაიფურჩქნა, როგორც საფრანგეთში, ისე ევროპის სხვა ქვეყნებში,—თუ სახეში არ მივიღებთ შვეიცარიის ზოგიერთ კანტონებს—ჩვენ აღარ გვესმის აღარც დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ლაპარაკი და აღარც საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე.

ხალხი ხელ ახლა იღვიძებს და ცდილობს გააფართოვოს სუვერენიტეტის ფარგლები სარწმუნოებრივ ბრძოლათა ზეგავლენის ქვეშ, თუმცა კი რეფორმაციის პუბლიცისტები უმეტეს ნაწილათ არისტოკრატიის მომხრე არიან. მათი უპირველესი წადილია პოლიტიკური ძალა იმპერატორებიდან, რომელნიც კათოლიციზმის ერთგულნი დარჩენ, გადაიტანონ ზოგიერთ გავლენიან ფეოდალების ხელში, როგორც მაგ. საქსონიის მთავრები, და აგრეთვე ქალაქების ბურჟუაზიის ხელში, რომელნიც სანახევროთ უკვე მოინადირა ლიუტერანების, კალვინისტების და ცვინგლის პროპაგანდამ. აქედან გასაგებია ჟენევის რესპუბლიკას რელიგიურ და სამოქალაქო რეფორმატორის, კალვინის ცდა—პოლიტიკური ძალა გადაეტანა ქალაქის დიდ საბჭოს ხელში, რომელიც შესდგებოდა მხოლოდ მოქალაქეთა და ბურჟუების, ე. ი. ქალაქის მცხოვრებთა ნაწილებისაგან. გასაგებია აგრეთვე ცვინგლის მზგავსივე ცდა ციურიხში; და ბოლოს, გასაგებია, ლიუტერის შეურიგებლობა გერმანიის გლეხების მოთხოვნებთან, გლეხთა ცნობილ ომიანობის დროს. დემოკრატიული იდეა იწყებს გამარჯვებას, მხოლოდ იმ დროიდან, როცა კალვინისტები, რომელთაც შოტლანდიაში უძახიან პრესბიტერიანებს, ომს გამოუცხადებენ მარიამ სტიუარტის კათოლიკურ მონარქიას და მის პოლიტიკურ სისტემას დაუპირდაპირებენ თავისს საეკლესიო ორგანიზაციას, დამყარებულს დემოკრატიულ პრინციპზე—სამღვდელო პირთა მრევლის მიერ არჩევნებზე. ამავე პრინციპის სახელმწიფოს სამოქალაქო მთავრობაზე გავრცელება შეადგენდა იდეალს ბუხანანის და პროტესტანტების სხვა პუბლიცისტებისას. მათ შორის ალთუზიუსი, ავტორი „პოლიტიკისა“, ჩემის აზრით, ყველაზე უფრო შესანიშნავია და უფრო გავლენიანი.

პროფესორი გირკე ტყუილათ კი არ ამბობს, რომ იგი ჟან-ჟაკ რუსსოს ერთი წინამორბედთაგანიაო. როგორც „სოციალურ კონტრაქტის“ ავტორი (ჟ. ჟ. რუსსო) ალთუზიუსიც ემხრობა ხალხის სუვერენიტეტს. იგი აცხადებს, რომ 1) ამ სუვერენიტეტის შემადგენელი ყველა უფლებანი გამომდინარეობენ მოქალაქეთა მთელი კრებულის სურვილიდან (ნებისაგან); და რომ 2) ეს უფლებანი განუშორებელია მოქალაქეთა კრებულიდან და მაშასადამე არც შეიძლება სხვა ვისმეს გადაეცეს.

რუსსოსთან ერთად ალთუზიუსი აღიარებს, რომ სახელმწიფოს მმართველნი მხოლოდ რწმუნებულნი არიან მოქალაქეთა და ყველა თავის მოქმედებაში პასუხისმგებელნი არიან ამავე მოქალაქეთა წინაშე.

ალთუზიუსი ცხოვრობდა ნიდერლანდის მეზობლათ და ამასთანავე ერთ პატარა ფედერატიულ რესპუბლიკაში უმაღლეს „მაგისტრატის“ (მოხელის) ადგილი ეჭირა. აქედან ცხადია, რომ მის თეორიას ამ ორივე რესპუბლიკის დაწესებულებათა შესწავლის ზეგავლენა ეტყობა. ინგლისის პრესბიტერიანიზმის მიმდევართ რადიკალები თავიანთ დემოკრატიულ ბრძოლებისათვის უხვათ სარგებლობდენ ალთუზიუსის ნაწერებით.

საინტერესოა იმის შესწავლა, თუ რა გავლენა ქონდა ჩვენს ავტორს მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევრის ინგლისელ პამფლეტისტებზე. ეს საკითხი ჯერ არ გამოუკვლევიათ, რამოდენადმე ფარსაგათ და მივუთითებ ამას იმ ჩემს მსმენელთ, რომელთაც აინტერესებთ პოლიტიკურ თეორიების წარმოშობა. აქ აღარ შევჩერდები ამ საგანზე და გადავალ სხვა მხარეებზე, რომელთაც წარმოადგენს დემოკრატიულ იდეების ევოლიუცია ევროპაში. ერთ ფრანგ ჰუგენოტმა,—რომელიც დიდხანს ეგონათ ლანგე და ნამდვილათ კი უნდა ყოფილიყო ამისი მეგობარი დიუპლესი მორნე—მეთექსმეტე საუკუნის დამლევს დასწერა ერთი პამფლეტი, რომელმაც მეტად დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თავის დროს, რადგან ქებათა-ქებას ასხამდა ტირანის მკვლელობას. მაგრამ ამ პამფლეტში (Kudkia contra tyzannos) გარდა იმ მოძღვრებისა, რომელიც პირდაპირ ნასესხებია კათოლიკ მწერალთაგან, სახელდობრ იეზუიტ მარინასა და სოუარეზისგან, ჩვენ ვხედავთ კიდევ ორიგინალურ თეორიასაც, რომელიც მართალია ნაკლებად ეთანხმება

*) ასე უძახდნენ გენუა, ვენეციის უწინდელ რესპუბლიკის უფროსთ (პრეზიდენტებს).

**) პარიზის მოურავი 1356 წელს.

მანამდე კი გთხოვ რედაქტორს,
რომ გადსცეს ბიძა ჩემსა,
თუნდ-რომ გნა ამომგლიჯონ
არ დავკლებ მოკითხვებსა!

—

როგორც უნდა შორს წავიდე
გაუკაფავ მაინც ქელეხს,
შესანდობარს გადავუსვამ
და სულს არ დამახველებს!

**ი. ევდოშვილი.**

***

## გამარჯვებული ღორი

ანუ ღორის ლაპარაკი სიმართლესთან.
(შეწყვეტილი სცენა)
თარგმანი შჩედრინის „На Рубежѣ"-დან.

**მოქმედნი პირნი:** ღორი, გასუქებული პირუტყვი; კალუზე შემდგარი ჯაგარი უბრწყინავს გოლის წუმპესაგან. სიმართლე, თუმცა მიღებულია, რომ იგი მუდამ ჰაპუკათ უნდა იყოს, მარა უკვე საკმაოთ მოტეხილა. ტანთ აცვია—„ნაჩალსტვოს" განკარგულებით—კონკ-მანკები, რომლის ქვეშ ურანს კლასიკური მუნდირი, ე. ი. სიტიტვლე.

მოქმედება სწარმოებს გომში.

**ღორი.** მართალს ამბობენ, ვითომ ცაში მზე ანათებსო?

**სიმართლე.** მართალს, ღორო.

**ღორი.** არა, სწორეთ მითხარი! ამ გომში მცხოვრებელს, მე, თითქოს არავითარი მზეები არ დამინახავს.

**სიმართლე.** ეგ იმიტომ, ღორო, რომ როცა შენ ბუნება გქმნიდა, თან ზედ დასძინდა: ღორო, შენ არ ეღირსება ბრწყინვალე მზესა!

**ღორი.** ოჰო? (ავტორიტეტიანათ) მე კი რომ მკითხო, ყველა მზეები მხოლოდ ცრუ-სწავლა არის... რაო?

**სიმართლე.** (სდუმს და დარცხვენათ ისწორებს კონკ-მანკებს. „პუბლიკა"-ში მოისმის ხმები: მართალი ხარ, ღორო! ცრუ სწავლაა! ცრუ სწავლა!)

**ღორი.** მართალია რასაც გაზეთებში სწერდენ, ვითომ თავისუფლება უძვირფასესი განძია ადამიანთა საზოგადოებისათ?

**სიმართლე.** მართალია, ღორო.

**ღორი.** მე რომ შკითხო კი, ჩვენში ისედაც თავისუფლებით ყელამდის ვართ მოურიდნი. აი მე განუწყვეტლივ გომში ვცხოვრობ—და დარდიც არაფრისა მაქვს! რა მაკლია? როცა მინდა ხონში ჩავყოფ დინგს, როცა მინდა—სანეხვეზე ვკოტრიალობ... რიღას თავისუფლება მჭირია! (ავტორიტეტიანათ) მოღალატენი ხართ თქვენ, როგორც მე გხედავთ... ჰაა?

**სიმართლე.** (კვლავ ცდილობს დაითაროს შიშველი ადგილები) შენ მართალი ხარ, ღორო! მოღალატენი! მოღალატენი! (ზოგიერთები „პუბლიკიდან" თხოულობენ, რომ სიმართლე „უჩასტოკ"-ში წაიყვანონ. ღორი კმაყოფილებით ღრუტუნებს, გრძნობს რა თავის თავს მდგომარეობის სიმაღლეზე.)

**ღორი.** რა საჭიროა „უჩასტკა"-ში, იქ მარტო ფორმისთვის დააკავებენ და მერე ისევ გამოუშვებენ. (ხეხვში წვება და გრძნობა აწუწებული) ოჰ, ეხლა „უჩასტკებშიაც" კი ფელეტონისტების ენაზე ლაპარაკობენ! ამას წინათ ერთ გაზეთში ამოვიკითხე: ჩვენში მიტომ არის საქმე სუსტი, რომ კანონები მხოლოდ ფორმისთვის იწერებაო...

**სიმართლე.** როგორ, განა შენ კითხულობ გაზეთებს, ღორო?

**ღორი.** ვკითხულობ, მარა ისე კი არ ვბღუბულობ, როგორც დაწერილია ხოლმე; ვკითხულობ ისე, როგორც მსურს!.. (პუბლიკისკენ) მაშ, აბა, ძმებო! „უჩასტკაში" კი ნუ გაგზავნით ამას, ჩვენივე საშუალებით გავუმასპინძლდეთ... გამოვიძიოთ... დღეს ერთი კითხვა მივსცეთ, ხვალ—მეორე... (ჩაფიქრდება). ერთბაშათ ნუ მოვუღებთ ბოლოს, ნელ-ნელა გუკბინოთ... (ხვრინვით უახლოვდება სიმართლეს, სწვდება ფერდში და უწევს კბენას) აი ასე!

**სიმართლე.** (იკაკვება ტკივილისაგან; ხულიგანები ხარხარებენ. ისმის ხმები: ჰა, ყოჩაღ, ღორო, ყოჩაღ!).

**ღორი.** ნახე? გიამა? ჯერ გეყოფა (სწყვეტავს კბენას). ეხლა გვითხარი: სად არის ბოროტების ძირი?

**სიმართლე.** (დაფანტული) ბოროტების ძირი, ღორო? ბოროტების ძირი... ბოროტების ძირი... (დაბეჯითებით და თავის თავისთვისაც მოულოდნელათ) შენშია, ღორო!

**ღორი.** (გაჯავრდება) აჰა! მაშ ასე ლაპარაკობ?! მაშ ეხლა ვნახოთ! მართალია, შენ გითქვამს: საკაცობრიო სიმართლე პოლიციელთა სიმართლესთან შეუდარებლათ მაღლა სდგასო?

**სიმართლე.** (ცდილობს მოხერხებულათ უპასუხოს) მართალია ცხოვრების ზოგიერთ პირობებში არ შეიძლება უარვყოთ...

**ღორი.** არა, შენ კუდს ნუ აქიცინებ! ეგ ჰანგები წინათაც გვსმენია. პირდაპირ გვითხარ: შენის აზრით, მართლა არის თუ არა რაღაც განსაკუთრებული სიმართლე, რომელიც „ოკოლოდოჩნურ" სიმართლეზე უმაღლესია?

**სიმართლე.** ოჰ, ღორო, რა მოღალატურათ, რა სულმდაბლათ...

**ღორი.** გეყოფა, მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. (უფრო და უფრო აწვება სიმართლეს) ახლა გვითხარი, მართალია შენ გითქვამს: კანონები ყველას თანასწორათ უნდა უზრუნველ ყოფდესო, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანთა საზოგადოება გადაიქცევა მუდამ ერთი მეორის წინააღმდეგ მებრძოლ ელემენტების ხატურ ბრბოთ... ეს რა კანონებზე გილაპარაკნია, რა თაობაზე, ან ვის დასარიგებლათ გიუბედნია, ქალბატონო, ჰაა?

**სიმართლე.** ახ, ღორო!

**ღორი.** „ღორებს" კი ნუ მჩრი დინგში, მე თითონ ვიცი, რომ ღორი ვარ. დიახ, მე—ღორი, შენ კი—სიმართლე... (ღორის ღუნღული ირონიულათ ისმის) აბა, ღორო, ერთი დაუღიტინე სიმართლეს! (უწევს კბენას. ხულიგანებისკენ) როგორ მოგწონთ, ძმებოჯან?

**სიმართლე.** (იკლაკნება სიმწარისაგან. პუბლიკა ღავღავებს. ისმის ყველა მხრიდან: მშვენიერია! წაუთაქე, ღორო, წაუთაქე! ამოკარი, დაკბინე, არა, ლაპარაკიც რომ გაბედა, მაგ სადახანამ!

## მუშათა შორის.

**ტფილისის საკანდიტეროები.** 23 დღეა, რაც ა. იუზბაშევის საკანდიტერო მუშები გაფიცულნი არიან. გაფიცულია რიცხვით 20 კაცი. რა არის ამ ხანგრძლივი გაფიცვის მიზეზი? წარმოიდგინეთ, რომ ის სულ უბრალოა. 10 იგნისს, ორშაბათს, სომხების სადღესასწაული უქმე იყო და ყველა თფილისის საკანდიტეროების მუშებმა ვიუქმეთ, იუქმეს აგრეთვე ა. იუზბაშევის მოსამსახურეებმაც. ამაზე გაჯრა ბ-ნი იუზბაშევი და უქმე დღეს თავის მუშას ხარჯის ფული დაუჭირა. ამ ძალადობას ზიზინისას, მუშებმა გაფიცვით გასცეს პასუხი. თავის გასამართლებლათ ა. იუზბაშევს ერთი გრძელი გამოუცხვია გაზ. „კავკაზის" მე-16 ნომერში, სადაც ამტკიცებს, რომ ამ დღეს უქმე არ ყოფილათ. გასაკვირი ის არის, რომ თფილისში სხვა ორმოც ხაზეინისათვის თუ კი ყო უქმე და იმათ თუ კი დააკმაყოფილეს თვისი მუშები, იუზბაშევი რაღა გამოდგა და ძისმა მუშებმა რაღა დააშავეს.

ბ-ნი იუზბაშევი ამბობს, რომ მუშები მუდამ წამს ახალ-ახალ მოთხოვნებს მიიგნებენ და ამას ჩემი ფირმა ვერ გაუძლებსო. სწორეთ გასაოცარია იუზბაშევის მსჯელობა! აი თქმა უნდა მუშები მუდამ ეცდებიან თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ იუზბაშევთან საქმე სულ სხვაგვარათ არის. მას ჩვეულებაი აქვს დღეს დაპირდეს ერთი რამ შეღავათი მუშებს და ხვალ კი ისევ წაართვას. და როცა მუშები ამ შეღახული უფლების აღდგენას მოითხოვენ, იუზბაშევს გონია ახალ მოთხოვნებს წუენებენო. აი, თუნდ ეს მაგალითი ავიღოთ: ბ-ნმა იუზბაშევმა თავისი ხელით ჩაუწერა მუშებს „წიგნაკში", რომ ყოველ უქმე დღეებში თითოს ათ-ათი შაური ხარჯის ფული მოგეცემაო და ახლა, როგორც ხედავთ, ეს დაპირება უკვე წაიღო. განა ეს არ არის მუშების ინტერესების შელახვა? თქვენ, პატივცემულო ხაზეინო, გამოდიხართ და დიდი რიხით თავს იმართლებთ საზოგადოების წინაშე. თქვენი ფირმა იმას თუ კი გაუძლებს, რომ თქვენ ასობით ხარჯოთ სასტუმროებში მუშის ზურგიდან აცლილი ფულები, მუშის ათი შაური დაღუპავს მას?

ამ მუქარებით თქვენ, რასაკვირველია, მუშების შეშინება და ასე ფონს გასვლა გინდათ, მაგრამ სანამ თქვენ მუშების სამართლიან მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებთ, ასეთი ოინებით ვერაფერს გახდებით. თქვენი მუშები მოითხოვენ გაფიცვის დღეების ქირას და ხარჯის ფულს და სანამ ეს მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, ფეხს არ შემოდგამენ ქარხანაში. **ახალო.**

—

17 ივნისს ბაყლების მოჯამაგირეებმა შემდეგი მოთხოვნები წარუდგინეს თავის აღებს..

1) დუქნები დაკეტილი იქნას კვირა უქმეებში ნაშუადღევის 2 საათზე.

2) სამუშაო დღეს იღებოდეს დილის 4 საათზე, იკეტებოდეს საღამოს 9 საათზე. სადილათ სამი საათი მოსვენება.

შენიშვნა: სადილათ დასვენება და სადილის ფული ხაზეინთან მორიგებით უნდა ხდებოდეს.

3) მოჯამაგირეების მიღება და დათხოვნა თვით მოჯამაგირეებს უნდა ეძლეოდეთ.

4) სასტიკათ აკრძალული უნდა იქმნას პირ გაკეთებულ საქონლის გაყიდვა (ზემოდან კარგი და ქვეშ დამპალი.)

5) ზრდილობიანი მოპყრობა ურთიერთ შორის.

6) ვისაც უმუშავნია ხაზეინთან, იმას უფლება უნდა ჰქონდეს ისარგებლოს წლიურად ორი კვირის დასვენებით, ადგილის და ჯამაგირის შენახვით.

7) ვისაც არა ნაკლებ ერთი წლისა უმსახურნია ერთ ხაზეინთან—ხაზეინი ვალდებულია უწამლოს თავის მოჯამაგირეს ავათმყოფობის დროს ერთი თვის ჯამაგირის შენახვით.

8) მომატოს ჯამაგირი 11 მანეთიდგან 20 მანეთამდე 40 პროცენტი; 21—30 მ. 30 პროცენტი; 31—40 მ. 20 პროცენტი.

ზოგიერთმა ჯიუტმა აღმა უცნობით სცნო ასეთი მოთხოვნა და გარდა იმისა, რომ თითონ არ ისურვა მისი დაკმაყოფილება, სხვებსაც უშლიდა ხელს. ამიტომ მოჯამაგირეები იძულებული გახდნენ გაფიცვა გამოეცხადებიათ, რაიც სისრულეში მოყვანილ იქნა 31 ივნისს. გაფიცვამ თავისი გავლენა იქონია და ხაზეინები სვცონებულში ჩაავდო. ისინი შეიკრიბენ და უცვლელათ დააკმაყოფილეს პირველი შვიდი მუხლი, ხოლო მერვე მუხლი ამრიგათ შეცვალეს: ვინც 11—20 მანეთ ჯამაგირს იღებს, მოუმატოს 20 პროცენტი, ხოლო ვინც 21—30 მანეთამდე, იმას მოუმატოს 15 პროც. ვინც 31—40 მან. იმას 10 პროც.

### წ ე ს დ ე ბ ა

პარიკმახერთა პროფესიონალური კავშირისა.

კავშირის მიზანი:

1) პარიკმახერთა პროფესიის მომუშავეთა შეერთება თავისი პროფესიონალური, უფლებრივი და კლასობრივი ინტერესების დასაცავათ;

2) წევრთა გონებრივ-ზნეობრივი განვითარება და კლასობრივი თვითცნობიერების გამორკვევა;

3) ნივთიერი დახმარება თავის წევრებისა.

კავშირის პირდაპირი დანიშნულება.

1) მოლაპარაკება, როგორც კერძო ხაზეინებთან ისე მათ კავშირებთან სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლათ და აგრეთვე თვალყურის დევნება, რომ ეს პირობები არავინ დაარღვიოს.

2) დაარსება მომრიგებელ კომისიის სადაო კითხვების გადასაწყვეტათ, მუშებსა და ხაზეინებს შორის.

3) ნივთიერათ დახმარება გაფიცვების გამო უსაქმოთ დარჩენილ ამხანაგთა და კავშირის წევრთა გაფიცვის დროს.

შენიშვნა: ნივთიერათ დახმარების რაოდენობას საზღვრავს ბიურო.

ბიუროს შეუძლია არა უმეტეს 500 მან. დახარჯოს.

4) ბიუროს დაარსება უსაქმოთ დარჩენილ წევრთათვის სამუშაოს აღმოსაჩენათ.

შენიშვნა: ბიურო მოვალეა პარიკმახერთა პროფესიის შესწავლას მსურველთ დაეხმაროს, ბინის აღმოსაჩენათ და ხაზეინთან პირობებზე შესათანხმებლათ.

5) გონებრივ და ზნეობრივ განვითარებისათვის სამკითხველოს დაარსება.

6) სახალხო ლექციების და კრებების გამართვა.

კავშირის საშუალება:

1) ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევათ და ბრძოლის გასაუმჯობესებლათ კავშირი აარსებს თანხას, რომელიც შესდგება ყოველ თვიური საწევრო გადასახადისაგან;

2) საწევრო ფულის შემოტანა პირველათ ერთ დროულათ, შემდეგ თვიური.

შენიშვნა: 1. კავშირიდან გამოსულ წევრს ფული აღარ დაუბრუნდება.

შენიშვნა: 2. შეგირდები იხდიან მხოლოდ ერთდროულათ.

3) კავშირის სახსარს შეადგენს აგრეთვე კერძო შემოწირულებანი, წარმოდგენებიდან შემოსული და სხვა.

ვისგან შესდგება კავშირი:

1) კავშირის წევრათ მიიღება ყველა მუშა პარიკმახერთა პროფესიისა, განურჩევლათ ეროვნებისა და პოლიტიკური რწმენისა, ქარგალი იქნება ის თუ შეგირდი.

2) კავშირი შესდგება ნამდვილ და დამხმარე წევრებისაგან, ნამდვილ წევრებათ ითვლებიან აღნიშნული პროფესიის მუშები, რომელნიც იხდიან თვიურ საწევრო გადასახადს, ხოლო დამხმარე წევრებათ ითვლებიან ის პირები, რომელნიც კერძო დახმარებას უწევენ კავშირს და ხელს უწყობენ მის მიერ დასახულ მიზნის განხორციელებას.

შენიშვნა: 1) დამხმარე წევრებს ეძლევათ სათათბირო ხმა, ხოლო კავშირის მართვა-გამგეობაში არავითარი მონაწილეობა არ შეუძლიან მიიღონ.

2) კავშირის წევრებათ არ მიიღებიან ექსპლოატატორები—ხაზეინები.

კავშირის გამგეობა.

1) კავშირის საქმეს განაგებს წევრთა-შორის ამორჩეული ბიურო.

2) ჩვეულებრივი კრება ბიუროსი ხდება კვირაში ერთხელ, ხოლო საგანგებო, როცა ამას მოითხოვს მეოთხედი წევრი ბიუროსი.

3) აღმასრულებელ ორგანოთ ითვლება კავშირის ბიურო, რომელიც პასუხის მგებელია წევრთა საზოგადო კრების წინაშე.

4) საწევრო კრება ირჩევს სარევიზიო კომისიას, რომელიც თვალყურს ადევნებს, როგორც აღმასრულებელ ბიუროს, აგრეთვე სხვა მოხელე პირთა მოღვაწეობას.

5) ბიურო ირჩევა ექვსი თვით.

6) თუ ბიურო ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და კავშირის წევრთა უმრავლესობა მისით უკმაყოფილოა, მაშინ ხდება მისი ხელახალი არჩევნები.

## რ უ ს ე თ ი

**აჯანყებულების საქმის გამოძიება და მათი დასჯა.** კრონშტადტის აჯანყებულ ეგ-ბ-ს საქმეს სამხედრო სასამართლო იკვლევს. მეთაურია მთავარი პროკურორი პაველკა, რომელიც სათათბიროს დარბაზიდან ერთ-

---

თითქმის იმავ ხანებში ალთუზიუსისაგან გამოქვეყნებულ აზრებს. ეს არის თეორია იმ კონტრაქტისა, რომელიც ამყარებს განსაზღვრულ ურთიერთობას სუვერენიულ ხალხსა და მის მმართველ-გამგეთა შორის და უზრუნველ ჰყოფს ხალხისათვის მისგან განუშორებელ უფლებებს მოქალაქისას თუ არა ადამიანისას მაინც.

ამავე აზრებმა გაიმარჯვეს ინგლისში, როცა ასპარეზზე გამოვიდნენ ეგრეთ წოდებულნი „გამათანასწორებელნი". ყველაზე უფრო ცნობილი ამათ შორის ჯონლილბურნი აცხადებდა ხოლმე, რომ ინგლისელებს, როგორც თავისუფალ ხალხს, ხელთ უპყრია საკუთარი ბედ-ბედი, მას ეკუთვნის უაღრესი მმართველი ძალა. კონტრაქტი და არჩევნები, მაშასადამე, ერთად ერთი წყაროა იმ უფლებათა, რომელნიც ენიჭებათ სხვადასხვა მმართველთ („მაგისტრატებს") და ვისაც კი თავისი უფლებები არ უპყრია ამ სათავიდან, იგი უნდა აღიარებულ იქმნას უზურპატორად. როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და სამოსამართლო უფლებანი მომდინარეობენ ხალხიდან. ხალხი სარგებლობს ამ უფლებით არჩეულთა (წარმომადგენელთა) საშუალებით, ე. ი. პარლამენტის, მინისტრთა საბჭოს და ნაფიც მსაჯულთა საშუალებით. როცა კი გაჩნდება ხალხსა და მმართველთა შორის ინტერესების რაიმე სხვადასხვაობა, ერთად ერთი გადამწყვეტი უთანხმოებისა უნდა იყოს ორივე მხარის თავისუფალი შეთანხმება. ამ უკანასკნელიდან წარმომდგარი ახალი კონტრაქტი უნდა იყოს სავალდებულო კანონი ყოველისთვის. ასეთია რეზიუმე (მოკლე შინაარსი) იმ მოძღვრებისა, რასაც შეიცავს სახელოვანი პამფლეტი, სათაურით: „მოთხოვნა ინგლისის ძირითადი კანონებისა და თავისუფლებათა". მარტო ლილბურნი და „გამათანასწორებელნი" როდი იცავდნენ ინგლისელ ხალხის უფლებებს. პრესბიტერიანების გვერდით ინგლისში ჩვენ ვხედავთ მეორე სექტას, რომელიც კიდევ უფრო შეურიგებელია; იგი არა სცნობს საეკლესიო საქმეებში არავითარ უფროსს გარეშე იმ მქადაგებელთა, ვისაც მორწმუნენი თვითვე ირჩევენ ყოველ საჭიროების დროს. ეს არის სექტა ეგრეთ წოდებულ „დამოუკიდებელთა". ამათი წარმოშობა უნდა მოიძებნოს დედოფალ ელისაბედის დროში. ერთი ამათი დამაარსებელთაგანი, ბრაუნი, სარწმუნოების საქმეში არა სცნობდა არავითარ მთავრობას გარეშე არჩეულ პირებისა. ცხადია, რომ სახელმწიფო საქმეებში ეს მოძღვრება წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო ყველა იმ მთავრობისა, რომელიც კი დემოკრატიული არ იქნებოდა. თანახმად ამ მოძღვრებისა, რესპუბლიკის უმაღლესი მმართველნი უნდა ყოფილიყვნენ ხალხის მიერ თავისუფლად არჩეულნი პირნი, რომელნიც ვითარცა რწმუნებულნი თავის თანამდებობათა აღსრულებაში ვერ გადასცილდებოდნენ და ვერ გადუხვევდნენ ხალხის მიერ დასმულ ფარგლებს და ინსტრუქციებს.

როდესაც კარლოს I შეიპყრო კრომველის ჯარმა, რომელიც შესდგებოდა „დამოუკიდებელთაგან", და მაშასადამე, მოწინააღმდეგეთაგან ძველი პარლამენტის პრესბიტერიანულ უმრავლესობისა, ოფიცრობის საბჭომ, გენერალისიმის მიერ მოწვეულმა, შეიმუშავა ის თუ როგორი ორგანიზაცია უნდა მისცემოდა სახელმწიფოს. ამ საბჭოს სხდომების ანგარიშები შედგენილია მისი მდივანის ვინმე კლასკეს მიერ. ეს ანგარიშები, ამ მოკლე ხანში ნაპოვნი და გამოქვეყნებული, საშუალებას გვაძლევს ზედ-მიწევნით გავიცნოთ, თუ როგორი კამათი გამოიწვია ინგლისის რესპუბლიკის დამყარებამ საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე. 1648 წელს სხვათა შორის კაპიტანმა რეინსბაროუმა გადაჭრით გამოაცხადა, რომ იგი ემხრობა ამ უფლებას. „ჩემის აზრით—სთქვა მან—როგორც უმდიდრესი, ისე უღარიბესი მოწოდებულია თვისი საარჩევნო ხმით გამოაცხადოს, თუ როგორი მთავრობა სურს, რომ განაგებდეს საქვეყნო საქმეებს; ვინაიდგან ინგლისში არავინ არ უნდა მორჩილებდეს სხვა უფროსებს, გარდა თავისუფალ არჩეულებისა".

აი, ამ სახელმწიფო თუ პოლიტიკურ უფლებათა თანასწორობის თეორიის კრომველის მიერ დაარსებულ რესპუბლიკის მეთაურმა, და სახელდობრ ირეტონმა, დაუპირდაპირეს შეზღუდულ უფლების თეორია, რომლის მიხედვით საარჩევნო უფლება ეძლეოდათ მხოლოდ მიწის მესაკუთრეთ. ამ თეორიის საფუძვლად უდევს ის ყალბი შეხედულება, ვითომ საზოგადოებრივ წესწყობილებისა და კონსტიტუციის დაცვაში დაინტერესებულნი იყვნენ მხოლოდ და მარტო ეს მესაკუთრენი. „მე იმ აზრისა ვარ—აცხადებს ირეტონი—რომ არავის არა აქვს უფლება გაერიოს საქვეყნო საქმეებში, მონაწილეობა მიიღოს იმ პირთა არჩევნებში, ვისი მოვალეობაა კანონების შედგენა, თუ კი მას არ მოეპოება მტკიცე ინტერესი სახელმწიფოს ამა თუ იმ ნაწილში. მხოლოდ კრებული იმ პირთა, რომელთაც—ვითარცა მიწის მესაკუთრეებს—მოეპოებათ ასეთი მტკიცე ინტერესი, შეადგენს ერთად ერთ კლასს, რომელსაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარლამენტში. ამიტომ საარჩევნო უფლება უნდა ეძლეოდეს მხოლოდ ამ კატეგორიის ხალხს. სრული უაზრობაა ბუნებრივ საარჩევნო უფლებაზე ლაპარაკი. როდესაც ადამიანი იბადება იმას ერთად ერთი უფლება აქვს ჰაერზე, რომლითაც იგი სუნთქავს და იმ სივრცეზე, სადაც იგი მოძრაობს. მაგრამ რომ საარჩევნო უფლება მივცეთ, ეს იგივე იქნებოდა, რომ უფლება მივეცა მოიხმაროს ის ქონება და ის მიწები, რომელიც მას სრულებითაც არ ეკუთვნის. როცა უქონელნი მიიღებენ საარჩევნო უფლებას, ჩვენ აუცილებლად მოგველის ყოველივე კერძო საკუთრების გაუქმება".

ეს თეორია, ცხადია, შეესაბამებოდა იმ ცენზიან საარჩევნო სისტემას, რომელიც ინგლისში დამყარდა მეხუთმეტე საუკუნის დამლევიდან; ამ სისტემის მიხედვით საარჩევნო ხმა ეძლეოდა უძრავი ქონების ისეთ მესაკუთრეს, რომლის წლიური შემოსავალი იყო არა ნაკლები 40 შილინგისა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი საარჩევნო სისტემა ლანკასტერების დინასტიის დროს შემოღებულ იქმნა იმ მოსაზრებით, რომ შეუძლებელი ხალხი გაენთავისუფლებინათ წასვლა-წამოსვლის ხარჯებისაგან. ირეტონის თვალში კი ამ სისტემას ეძლევა საზოგადოებრივ წესწყობილების და განსაკუთრებით კერძო საკუთრების დამცველ დაწესებულების მნიშვნელობა. აი ამ მხრივ ირეტონის თეორია ხატავს ბურჟუაზიის ახალ ტაქტიკას, რომელიც თანასწორობას ქადაგობს, ვიდრე საქმე შეეხება მასზე გაბატონებულ კლასების უპატივცემლობას (დამარცხებას) და ეგოისტი და მონოპოლისტი ხდება, როცა წინ წამოვგება მდაბიო ხალხის მოთხოვნანი. ტყუილად ცდილობდენ სხვა ორატორები გაეუქმებინათ ირეტონის სიტყვები, როდესაც აცხადებდნენ, რომ მათის შეხედულებით საყოველთაო საარჩევნო უფლება არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს უძრავი საკუთრების არსებობისათვის. „ყველა ადამიანები—გაცხარებულ კამათში აცხადებს პეტი—თანასწორნი არიან, რადგან ერთი და იმავე ბუნებისა არიან. ადამიანებს გადაუწყვეტიათ საქვეყნო საქმეებს განაგებდენ წარმომადგენელთა საშუალებით, რადგან ხალხთა სიმრავლის გამო შეუძლებელი იქნებოდა ყოველ საჭიროების დროს ყველა ამათი ხმების დათვლა. და მეორე მხრივ, რადგან ადამიანებს თავიანთ ინტერესების დასაცავად ესაჭიროებათ მთავრობა, ამიტომ მათ დაუწესებიათ პარლამენტი და „მაგისტრატურა" არა იმიტომ რომ დაამხონ, არამედ —განამტკიცონ წესწყობილება და საზოგადოებრივი მშვიდობიანობა. ამრიგად არ მესმის, საყოველთაო საარჩევნო უფლება რატომ უნდა იყოს საშიში კერძო საკუთრებისთვის". როცა ამგვარი მსჯელობით იერიში მიიტანეს ირეტონზე, მან გადაჭრით განაცხადა, რომ მისის აზრით „ვისაც სახელმწიფოში არ მოეპოება მუდმივი ინტერესი, როგორც უძრავი ქონების მესაკუთრეს, იგი სახელმწიფოში მიჩნეული უნდა იყოს უცხოელივით. მას ორში ერთი უნდა ქონდეს ასარჩევი: არ უნდა დამორჩილდეს კანონებს, ან დასტოვოს ქვეყნის საზღვრები".

გთხოვთ კარგათ ჩ იბეჭდოთ გონებაში ეს მსჯელობა. ამას არა ერთხელ შევხვდებით შემდეგშიაც იმათ ნაწერებში, ვინც, როგორც მაგ. ნეკერი და წარსულ საუკუნის პირველ ნახევრის ბურჟუაზიის სხვა იდეოლოგები, საარჩევნო უფლებას ანიჭებენ მხოლოდ უძრავი ქონების მესაკუთრეებს. პეტიები ამათ ეცდებიან დაამტკიცონ უსამართლობა იმ სისტემისა, რომელიც ფერმერს, ვისაც მიწა უჭირავს სამი შთამოების განმავლობაში და საჭირო ფასად იხდის წლიურად ას გირვანქას (1000 მან.) ამ ფერმერს უარს ეუბნებიან იმ უფლებაზე, რომელიც მინიჭებული აქვს 40 შილინგის წლიურ შემოსავლიან უძრავ ქონების მესაკუთრეს. ირეტონები განაგრძობენ ლაპარაკს, რომ ამ მხრივ ყოველივე დათმობა ფერმერებისადმი ხოლოდ დააჩქარებდა ქონებათა ძალდატანებით გათანასწორების ეპოქას.

(შემდეგი იქნება)

ხმით გააგდეს დეპუტატებმა. სასამართლოს ქაღით აჯანყების ბრალი 150 კაცს ედება, ამათში აქტიური მომქმედი 40-ამდე კაცი იქნება.

კრონშტადტის სანაღმე როტის სალდათები 20 ივლისს გაასამართლა საველე-სამხედრო სასამართლომ და ყველას ერთხმათ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. განაჩენი იმავ დღეს იქნა სისრულეში მოყვანილი. სასამართლოს წევრებათ გენერლები და პოლკოვნიკები იყვენ. აჯანყებულებმა დამშვიდებით მოისმინეს სიკვდილის განაჩენი და როცა ბოძებზე აკრავდენ ხმა არ ამოუღიათ. ხვრეტდენ სათითაოდ რიგ-რიგობით, ასე რომ თვითეული მათგანი თავისი თვალით უყურებდა ამხანაგის დახვრეტას.

**სამხედრო კითხვის გადაწყვეტა.** მთავრობის მზრუნველობა ჯარზე მარტო დახვრეტით არ თავდება, მას გადაუწყვეტია კულტურულ მოქმედებასაც მიმართოს, რისთვისაც შემდეგი პროექტი შეუდგენია: აფიცრებს ნება მიეცეს სამსახურს გარეშე შტატსკური ტანისამოსი ატარონ, ხოლო სალდათებს წელიწადში ერთი თვის „ოტპუსკი“.

**ხელმწიფე იმპერატორის სიტყვა სემიონოვის პოლკის მიმართ.** უკანასკნელ „სმოტრის“ დროს პეტერგოფში ხელმწიფემ შემდეგი რეჩი უთხრა სემიონოვის პოლკს, რომელმაც შეუდარებელი სიმხეცე გამოიჩინა მოსკოვში დეკემბრის აჯანყების ჩაქრობის დროს:

„რვა თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ცარსკოე სელოში უკანასკნელათ წარსდგენ სემიონოვცები ჩემ წინაშე. მე მაშინ გითხარით, რომ თქვენ რაც უნდა მოხდეს წინაპრების ღირსეულ ხსოვნას არ უღალატებთ და მეფეების და სამშობლოს ერთგულ და პატიოსან მოსამსახურეებათ დარჩებით. სულ რამდენიმე დღის შემდეგ გვეწვია განსაცდელი და თქვენის მამაცობის და ერთგულების წყალობით მოსკოვის აჯანყება ჩაქრობილ იქნა. მე და რუსეთი გულწრფელათ გმადლობთ ასეთ სამსახურისთვის. ჩემ შვილს ანდერძათ ვუდებ ისეთივე ნდობით და სიყვარულით მოგექცეს, როგორც მე თქვენ გექცევით, სემიონოვცებო, ჩემო ძვირფასნო. სავსე გულით მადლობას გიძღვნით სამსახურისთვის. ბ-ნო აფიცრებო! ის რაც ჯარის-კაცებს ვუთხარი, თქვენც გეხებათ, იმიტომ რომ სემიონოვცები წარმოადგენენ ერთ განუყოფელ, მჭიდროთ შეკავშირებულ, ძლიერ ოჯახს, რომელიც უკუნითი უკუნისამდე არ შეიცვლება“.

25 ივლისს სამხედრო-საოლქო სასამართლომ სალდათ მედვედევს ყოველ-გვარ უფლების ჩამორთმევა და საუკუნოდ გადასახლება გადაუწყვიტა, რადგანაც მან 20 ნოემბერს სოციალდემოკრატიულ პარტიის ორი მოწოდება გაავრცელა თავის პოლკის სალდათებში. მოწოდებები ურჩევდენ სალდათებს, შეუერთდეთ აჯანყებულ ხალხს, რომ თვითმპყრობელობა მოვსპოთ და მის ნანგრევებზე დემოკრატიული რესპუბლიკა დავამყაროთო.

**პოლიტიკური გაფიცვა პეტერბურგში.** პეტერბურგში გაფიცულა მუშების მესამედ ნაწილზე ცოტა მეტი და არა მეხუთედი, როგორც გუშინ ვწერდით. დიდ ფაბრიკა-ზავოდებს გარდა გაფიცულან აგრეთვე ცხენის რკინის გზა და წვრილი სახელოსნოები. ყველაზე უფრო ერთსულოვნებით სტამბების მუშებს ჩაუტარებიათ გაფიცვა. მუშაობა არ შეწყვეტილა მხოლოდ „ნოვოე ვრემიის“ და „პეტერბურგსკი ლისტოკი“-ს სტამბებში, სადაც მხოლოდ მეტრანპაჟები და შეგირდები მუშაობდენ. რკინის გზებში მხოლოდ ირინოვსკის რკინის გზა გაიფიცა, ისიც ერთი დღით. 25 ივლისს ყველგან გათავდა გაფიცვა.

**უწესობები ვასილიეოსტროვის რაიონში (პეტერბურგში).** 23 ივლისს მუშებმა პატარ-პატარა ჯგუფებით იწყეს ქუჩებში თავის მოყრა. როცა საკმაოთ დიდი რიცხვი მოგროვდა, მათ შეუერთდენ ბავშვები და ხელი მიყვეს ტრაქტირების, რესტორანების, ლუდხანების და საარყე დუქნების კეტვას. ჯიუტ ხაზეინებს მუშები ძალით უკეტდენ დუქნებს, ბავშვები ტელეფონის ბოძებზე მარდათ ადიოდენ და მავთულებს სჭრიდენ, რომ ხაზეინებს პოლიციის მოწვევა ვერ მოეხერხებინათ. შემდეგ „იზვოზჩიკებს“ მიყვეს ხელი, ასე რომ ვასილევის კუნძულზე ყოველივე მოძრაობა შეწყდა. მალე გაჩნდა ცხენოსანი პოლიცია და ხალხის ზურგზე მათრახი ათამაშა. პოსტზე მდგომი გოროდოვოები თოფის კონდახებით დიერიენ ხალხს, განსაკუთრებით ბავშვებს.

ბავშვები ტუჩკოვის ხიდისკენ გაემართენ და გოროდოვოებს სამაგიერო გადაუხადეს: ნომრები ჩამოგლიჯეს და ლაზათიანათ მიბეგვეს, სანამ ყაზახები მოვიდოდენ. ყაზახებს იარაღი არ უხმარიათ. იმათ მოსვლის შემდეგ ხაზეინებმა ტრაქტირ-რესტორანები გააღეს. კუნძულ გოლოდაიზე მუშებს და ცხენოსან პატრულს შეტაკება მოუხდათ. პატრულმა სამჯერ მისცა ზალპი მუშების ბრბოს. ირინოვსკის რკინის გზაზე ოთხიათასამდე თოფის წამლის ზავოდების მუშებმა მატარებელი გააჩერეს და უფროსს დაემუქრენ: თუ ჯარი გამოგიწვევია ქვას ქვაზე არ დავტოვებთო.

**პოლიციის საქმიანობა.** 24 ივლისს პოლიციას დაუხურავს უსაქმოთ დარჩენილ მუშების ბიუროს შენობა; შენობა ჯერ გაუჩხრეკიათ. ამავე დღეს დაუხურავენ ხის ჭურჭლების მკეთებელთა კავშირის განყოფილება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტამბის მუშები და გამკე დაუთხოვნიათ ადგილიდან პოლიტიკურ გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის.

**როგორ გადარჩა ხიფათს საზღვაო მინისტრი.** 20 ივლისს, როცა კრეისერი „პამიატ აზოვა“-ს აჯანყების ამბავი გაიგეს, ბრძანება გასცეს, თუ კრონშტადტში მოვიდეს, ჩასძირეთო. 21 ივლისს კომენდანტმა პეტერბურგიდან ბრძანება მიიღო, რომელი გემიც უნდა შემოვიდეს კრონშტადტში, ჩასძირეთო. კომენდანტმა ვერ გადასცა დროზე ეს ბრძანება. 22-ს დილით რეიდში შემოვიდა ერთი კონტრ-ნაღმოსანი, რომელზედაც საზღვაო მინისტრი იმყოფებოდა. გემი დაუბრკოლებლივ შეუშვეს. როცა ეს გაიგო მთავრობამ—შეეკითხა, რათ არ ჩასძირეთო. უპასუხეს, რომ ბრძანების გადაცემა ფორტებზე ვერ მოვასწარითო. ასე ღვთის განგებით გადარჩა დაღუპვას ბ. საზღვაო მინისტრი.

**ისპრავნიკები და სტანოვოი პრისტავები გარბიან** ციმბირიდან, რადგან მთავრობა მათ ხშირათ აჯარიმებს. დაჯარიმების მიზეზი პოლიტიკურ დამნაშავეების ხშირი გაქცევაა. პოლიცია ვერას გახდა ტუსაღებთან, რადგან მათ მცხოვრებლები შველიან. ტუსაღებს იაკუტის ოლქში ასახლებენ. ეს ის მხარეა, სადაც მცხოვრებლები თითქმის შიმშილით იხოცებიან უპურობის გამო. ტუსაღების გაქცევა წარმოუდგენელია.

**ავტონომიური ბურჟუაზია და მუშები.** ფინლიანდიის ბურჟუაზიას შიშის ქარები აუტეხა წითელმა გვარდიამ. ბურჟუაზიამ ამ გვარდიის წინააღმდეგ „თავისი“ ჯარი გამოიყვანა და ახლა სენატს გადაუწყვეტია წითელი გვარდია აკრძალულ ორგანიზაციათ ჩაითვალოს.

## რუსეთის პრესა

—

ბოლშევიკების ჟურნალის „ვესტ. ჟიზნი“-ს უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია საყურადღებო წერილი. საყურადღებო იმითაა ეს წერილი, რომ გვაჩვენებს, როგორ ძალა დაუტანებია ცხოვრებას „გაკაჟებულ“ ბოლშევიკებისთვის და როგორ მიუღებინებია ისეთი აზრები, რომლებსაც ისე ცხარეთ ებრძოდენ ამ 2—3 თვის წინ.

„პოლიტიკური შეგნება საზოგადოებრივ კლასებისა, ამბობს „ვესტ. ჟ.“, უკანასკნელ წლის შემდეგ შეიცვალა არა ნაკლებ მის ეკონომიურ მდგომარეობისა. ამხედრდა გლეხობა, და ამ პოლიტიკურ გამოღვიძებაში, ეჭვი არ არის, უზარმაზარი როლი ითამაშა დუმამ. მის საშუალებით გლეხკაცობამ შეითვისა გამათავისუფლებელ ბრძოლის ლოზუნგები, და შეიგნო რა როლს თამაშობენ ამ ბრძოლაში მთავრობა და სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასები. პროლეტარიატიც, რა თქმა უნდა, გაიზარდა თავის კლასიურ და პოლიტიკურ შეგნებაში, თუმც დუმამდისაც მისი შეგნება ისე მაღლა იდგა, რომ მას მშვენივრათ ქონდა შეგნებული პოლიტიკური მნიშვნელობა დუმის და ლიბერალურ ბურჟუაზიისა.“

როდესაც ბოლშევიკების და მენშევიკების შორის კამათი იყო ატეხილი დუმის მნიშვნელობის შესახებ, მენშევიკები სწორეთ იმ აზრს გამოსთქვამდენ, დუმა ხალხს გამოაღვიძებს, პოლიტიკურ შეგნებას შეიტანს მასსაშიო. რამდენი მელანი დახარჯეს მაშინ ბოლშევიკებმა, რამდენი არწმუნეს პროლეტარიატი, მენშევიკები გაკადეტდენ, გაოპორტუნისტდენ, მენშევიკები კონსტიტუციონურ ილლიუზიებს თესავენო, ისინი პარტიის „მემარჯვენე ფრთას“ შეადგენენო და სხ. არ ვიცით, სიწითლე მოსდით თუ არა, რომ თავის მემარცხენე პოზიციას სტოვებენ და ჩვენ „მემარჯვენე“ აზრს ადგებიან! ამაზე იტყვიან, ცხოვრება ასწავლისო. ჯერ კიდევ ბევრ გაკვეთილებს უმზადებს ბოლშევიკებს ცხოვრება!

## პარტის ცხოვრებიდან

—

ახალი ორგანზაციების არჩევნები უკვე დათავდა თფილისში. როგორც გამოირკვა ამ ხანათ პარტის ქალაქში ყოლია დაახლოვებით 6 ათსამდე წევრი. ახლად შედგენილი ორგანიზაციების პირველი კრებები უკვე მოხდა ამ დღეებში. ისინი იძულებული გახდენ წესდების ზოგიერთი მუხლები შეესწორებიათ და შევსოთ მაგ., წესდების ძალით თფილისი ექვს რაიონათ იყოფა, მარა გამოირკვა, რომ პირველი—რკინის გზის რაონი—მეტათ დიდია და დღევანდელ პოლიციურ პირობებში მისი შეკრება ძნელი საქმეა. ამიტომ რაიონი გაიყო ორ ნაწილად და შესდგა ორი რაიონი: პირველი და მეორე რკინის გზის რაიონი. გარდა მისა პასუხის მგებელი პირების მაგიერათ (ძველი წესდებით თვითეული ფუნქცი ბარდება თითო კაცს და ორგანიზაციის წინაშე ის აგებს პასუხს) ზოგიერთ რაიონებში და აგრეთვე კოლექტივში მიღებულ იქნა კომისიების სისტემა, ე. ი., ყოველი ამა თუ ისე მუდმივი და რთული ფუნქციის შესასრულებლათ ირჩევა არა ერთი კაცი, არამედ კოლეგიალური დაწესებულება—კომისია, რომელიც პასუხის მგებელია თავის ამრჩეველ ორგანიზაციის წინაშე თავს მოქმედებაში. ამ დღეებში ახალი ორგანიზაციები მიიღებენ ანგარიშს ძველებიდან და შეუდგებიან მოქმედებას.

ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაცი, რ. ს. დ. მ. პარტიის აღმასრულებელი კომისია ამით აცხადებს, რომ მას (ორგ) არავითარი ბაჟი არ დუწესებია გაჩეხილ ტყეში და არც გაუგზავნია კაცი ფოთში ხეზე თითო აბაზის ასღებათ, როგორც ამას სწერს „მუშის“ 42 №-ში ვიღაც ვახუშტი. ვახუშტის რომ კეთილ სინდის-ერობა (ე. ი. ხომ თავი და თავია) არ აკლდეს, ასეთ ცილის წამებას არ შეხანხლავდა ჩვენს წინააღმდეგ.

ლანჩხუთის რაიონ. აღმასრულებელი კომისია.

## ღ ი ა წ ე რ ი ლ ი

სოფ. ახუთის (ზუგდიდის მაზრის) მღვდელს ანტონ პაპასკირს

გაზ. „ტრუდ-“ში მოთავსებული იყო თქვენს წინააღმდეგ „პროტესტი“, ხელ-მოწერილი 67 კაცის მიერ. შემდეგ ეს „პროტესტი“ გადმობეჭდილი იყო გაზ „ლამპარში“ და თქვენ გბრალდებათ რეაქციის დროს „შავი რაზმის“ შედგენა „არაკეთილ-საიმედო პირების მოსანახათ, დასაპერათ ან და დასარბევათ.“

თქვენ ითხოვეთ ამის შესახებ სიმართლის აღდგენა და გამოირკვა შემდეგი: სოფ. ახუთში რეაქციის დროს დაპერილა ორი კაცი; ამ კაცების აშკარა „მედანოსეთ“ გამოსულა და მოქმედობდა თურმე ერთი ბრწყინვალე თავადიშვილი, რომლის მოქმედებას, რასაკვირველია, თავის დროზე ხალხი გასცემს პასუხს, მაგრამ, როგორც ხალხი ამტკიცებს, „მედანოსე“ თავადიშვილი მოქმედობდა თურმე თქვენი ხელმძღვანელობით. გამოირკვა აგრეთვე, რომ 11 მარტს ერთ ოჯახში თქვენ მოგიხდენიათ „კონსპირატიულათ“ რეაქციონერების კრება და გქონიათ მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეულიყავით იმ დროს, როდესაც ახუთს ეწვეოდა დამსჯელი „ექსპედიცია“ და მასთან ერთი ადამიანი, „არ ვიცი ვისი გავლენით“, თითებზე ითვლიდა თურმე იმ ოჯახებს, რომლის დარბევა მას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა!

დარბევით ახუთში—არავინ დაურბევიათ და გამოჩენილად მომქმედი „შავი რაზმი“ თქვენ არ გყოლიათ. ასეთია სიმართლე ამ საქმის შესახებ.

მასთან თქვენ გაბრალებენ ხშირად „აგიტაციის“ გაწევას, რომელშიაც თქვენ აშინებთ ხალხს აწიოკებით და დიქტატურის შემოღებით, თუ ხალხმა აიმაღლა ხმა თავისუფლების მოსაპოებლად და უმტკიცებთ თურმე ხალხს: არაფერი ცვლილება რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ მოხდებაო.

მოგახსენებთ, რომ ამაში თქვენ და ძმანნი თქვენი სტყუვდებით: ხალხს თქვენ ვერ დააჯერებთ, მოძრაობას თქვენ ვერ შეაჩერებთ. დღევანდელი ვითომდა სიჩუმე წინამორბედია იმ დიდებული აქტისა, რომელსაც რევოლუციას უწოდებენ და რომელიც ორი-სამი თვის შემდეგ ბოლოს მოუღებს ავაზაკურ მთავრობას და ხალხის დღევანდელ ჯოჯოხეთურ მდგომარეობას.

ნუ ლაშქრობთ ხალხის წინააღმდეგ, მიუბრუნდით ხალხს და, როგორც ის, ისე მისი მისწრაფების გამომხატველი პარტია სულ-გრძელად გაპატიებს ძველს მოქმედებას!

მომავალი გვიჩვენებს, თუ რა „ტაქტიკას“ დაადგებით თქვენ!

ბ. დ.

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

30 ივლისი.

**იუზოვკა.** გუშინ მუშებმა დიდებული მიტინგი გამართეს. ილაპარაკა დუმის ყოფილმა წევრმა მიხაილიჩენკომ. მოვიდა დრაგუნის ესკადრონი, რომლის კომანდირმა მიმართა ხალხს დაშლილიყო. ცოტა ხნის შემდეგ ხალხი წყნარათ დაიშალა.

**ფეოდოსია.** დაიჭირეს ხუთი მძარცველი, რომლებსაც ნემცებს შორის რამდენიმე საზარელი მკვლელობა მოუხდენიათ.

**ხარკოვი.** ქალაქს გარეთ იპოვნეს მუშა კვიატკოვსკის ტყვიით მოკლული გვამი. მკვლელობა შურისძიებით უნდა იყოს ჩადენილი. ის იყო მთავარი მოწამე ქსენძი ვაგნერის მკვლელობის თაობაზე. უკანასკნელის მკვლელი დიდი ხანი არ არის რაც სატუსაღოდან გაიქცა.

**ფეოდოსია.** როცა ტუსაღებს ვაგონში სხავდეს, ერთი მათგანი გაიქცა, მაგრამ სალდათა დაეწია, ორ ალაგს დასჭრა ხმლით და დაიჭირა.

**ქერჩი.** ოთხ სექტემბრისთვის საოლქო სასამართლოში დანიშნულია განსახილველათ საქმე გასული წლის ივლისში ქერჩში მომხდარ პოგრომის შესახებ.

**კიევი.** დნეპრის ნავთსადგურზე დაიჭირეს 45 ქალი და კაცი, რომლებიც ბუნდისტები აღმოჩნდენ და უნდოდათ გემით წასვლა. გაჩხრეკის დროს მათ მრავალი პროკლამაციები და ვიბორგის მოწოდებები აღმოაჩნდათ.

**ვლადიკავკაზი.** გამოვიდა ოსურ ენაზე პირველი გაზეთი „ირონ გაზეთი“ ასლან-ბეგ ბუტლევის რედაქტორობით.

31 ივლისი.

**პეტერბურგი.** დღეს გამოვიდა გაზეთ „პონედელნიკ“-ის პირველი ნომერი, რომელიც მაშინვე დაიჭირეს.

**ყაზანი.** გაიფიცენ ყველა „კრუჩნიკები“ (ტივების გამომზიდველი), ორი დღეა გემები აღარ იტვირთება.

**ვარშავა.** გაზეთი „ვარშავსკი დნევნიკ“-ის გამოცემა შეაჩერეს უსახსრობის გამო.

**ასტრახანი.** რადგან შრომის ფასმა აიწია, აქ რუსეთის ყოველ მხრიდან მოაწყდა მუშები. ამატომ ყოველ დღე ათასობით რჩებიან მუშები უსაქმოთ, რომლებიც უკიდურეს პირობებში ჩავარდენ და უკან დაბრუნების სახსარიც არ აქვთ. ასტრახანის გუბერნატორის მოადგილე მარადსკი.

**ეკატერინოსლავი.** გაიფიცენ ფქვილისა და კრუპის საწმენდი წისქვილების მუშები. მოითხოვენ რვა საათის სამუშაო დღეს, ქირის მომატებას, ზედმეტი მუშაობის გაუქმებას და მომრიგებელ კამერის დაარსებას.

**პეტერბურგი.** საღამოზე პეტერბურგის გზასტაციაზე შეგროვილმა მუშებმა არეულობა მოახდინეს. როცა გოროდოვოებმა მოინდომეს მათი გარეკა, მუშებმა სროლა ასტეხეს და ერთი გოროდოვოი მოკლეს. მკვლელი გაიქცა და გზა და გზა რევოლვერს ისროდა, მაგრამ დაიჭირეს. ის მუშა ივანე ცედმინსკი აღმოჩნდა.

**მოსკოვი.** ზამოსკვორეჩიაში აღმოაჩინეს ყუმბარების ჩამოსასხმელი ქარხანა. იპოვეს ასზე მეტი გაუტენავი ყუმბარები. სარდაფში მიწაში ჩაფლული ერთ ფუთზე მეტი დინამიტი აღმოჩნდა. დაიჭირეს რამდენიმე კაცი.

**ლისკოვო.** ოდემოვის გორაზე გუშინ მიტინგი გამართეს. გორას სალდათებმა და პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს. გადაწერეს იქ მყოფნი. დაიჭირეს 15 სალდათი და მასული აე ტატორი. იპოვეს სალდათებისადმი რევოლუციონური მოწოდებები.

კლიაზმინის ბატალიონში მომხდარ არეულობის შესახებ ენერგიული გამოძიებაა.

**ივანო-ვოზნესკი.** სოფელ ლეჟნევის ახლოტეთ მამაკაც ბოქაულს თავს დაესხა რამდენიმე ახალგაზდა და 50-ჯერ ესროლეს. ბოქაული გადარჩა. დაიჭრა მისი თანამგზავრი ქალი.

**პეტერბურგი.** თამბაქოს ფაბრიკებში სადაც 7000-მდე მუშა იყო გაფიცული, მუშაობა დაიწყეს. გაფიცულია ჯერ კიდევ ლაფერმის ქარხანა.—სექტემბრის პირველ ნახევარში მშვიდობიან განახლების პარტიის საერთო საიმპერიო სიეზდი მოხდება. სიეზდი პეტერბურგში ან მოსკოვში იქნება, იმისდა მიხედვით სად შეიძლება ნებართვის მიღება. პარტიის ლიდერები გრაფი გეიდენი, ლვოვი და სტახოვიჩი თავთავიანთ მამულებში წავიდენ, რომ მოემზადონ მომავალი სიეზდისთვის.

**ფეოდოსია.** გორსკის ნაწილში აგრარული მოძრაობა თანდათან მატულობს. ცნობები იხუმებსა და სტრაჟნიკებს შორის შეიარაღებულ შეტაკების შესახებ მართალია. არიან დაჭრილები, მათ შორის ორი აგიტატორი. დამით იქ ერთი როტა სალდათები გაგზავნეს.

**ჰელსინგფორსი.** ზომიერი პრესა მოუწოდებს საზოგადოებას ებრძოლონ მუშებში გავრცელებულ უკიდურეს სოციალისტურ მოძრაობას, რომლის შედეგიც იყო ჰელსინგფორსში მომხდარი უბედურება. პრესა ურჩევს საზოგადოებას ადმინისტრატიულ ზომებს გარდა ეცადონ ბროშურებით, გაზეთებით, სიტყვებით განუმარტონ ხალხს რევოლუციურ გატაცების სამწუხარო შედეგები და დაარწმუნონ, რომ მშვიდობიან გზით შესაძლებელია კლასობრივ ინტერესების განხორციელება.—საგუბერნიო სატუსაღოში მოიყვანეს პროვინციიდან ცხრა კაცი, რომლებსაც რკინის გზის გაფუჭებას აბრალებენ.—გამოძიების დროს ფინლიანდიელებმა ნაცხადეს, რომ ისინი ძალაუნებურათ სვე... სვეაბორგის საქმეში წითელი გვარდიის ს... მძლავნელობის წყალობით. როცა ისინი გ... დასხეს გასაგზავნათ, მოთდაუმალეს სად მ... დათ. გემის ხელმძღვანელი წითელი გვარ... უფროსის თანაშემწე რანტალა დაჭრილი... გოსპიტალში წევს.

**პეტერგური.** მათი იმპერატორობითი უ... დებულესობანი კრასნოე სელოში გადასახლდ...

**რეველი.** გაზეთ „XX ვეკში“ მოთავსებუ... დეპეშა უოველივე სიმართლეს მოკლებუ... „პამიატ აზოვა“-ზე მომხდარ აჯანყების საქ... იურისტი ობერ-აუდიტორი და შვიდი აფიცე... იძიებდა. გამოძიების შემდეგ უფროსის ბრძან... ბით დაინიშნა განსაკუთრებული სასამართლ... კომისია, რომელშიც მონაწილეობას არც ბრალ... მდებლის წარმომადგენლები და არც დამცველ... იღებენ. სასამართლოში ის აფიცრები იღებ... მონაწილეობას, რომლებიც გამოძიებაში მონაწ... ლეობას არ იღებდენ. სამართალში მიცემულ... 90 მატროსი და ოთხი კერძო კაცი. სიკვდ... ლით დასჯა ყველას არ ელის, მხოლოდ უმთა... რეს დამნაშავეებს.

**პეტერბურგი.** კავკასიის ნამესტნიკმა შუამ... დგომლობა აღძრა ქვეყნის მართვის გასერთ... ნებლათ, პოლიციური ნაწილი, რომელსაც კ... კერძო პირი განაგებს, გადაეცეს ნამესტნიკ... სამოქალაქო ნაწილის თანაშემწის გამგეობაში. მინისტრთა საბჭოშა აღძრულია კითხვა გა... ქმებულ იქნას კავკასიაში გადასახლებულ გლეხ... ბის სავალდებულო ურთიერთობა მემამულ... ებთან.

რედ.-გამომცემელი ი. კარგარეთელი.


## განცხადებანი

კბილის ექიმი ქ-ნ ე. თ...

**ღორის-მელიქოვი**

იღებს ავათმყოფებს. რკინის გზის მუშებს, მოსამსახურეებს და მათ ოჯახის წევრებს, ... დაკლებულ ფასებში, რაც დამტკიცებულია რკინის გზათა უფროსის მიერ.

ავათმყოფნი მიიღებიან: დილის 8—10 ს. რკინის გზის საავათმყოფოს ძველ შენობაში.

ამ ორი თვის წინეთ დაიკარგა თფილისის ტრამვაის კონდუქტორი

**კონსტ. იმნაიშვილი**

ნიშნები: მაღალი ტანის, შავი თმა, წვერ... იპარსავს, ეგონებ ჰკუაზე შეშლილი... გთხოვთ ვინც იცით ან შეხვდეთ გააგებინოთ ლანჩხუთში ილარიონ მახარაძეს. ხარჯს ვკისრულობ. (10—8)

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა

**„კოლხიდა“**

ქ. ქუთაისში.

ღებულობს: 1) ხელის მოწერას მთელი გუბერნიისათვის ყველა ადგილობრივ და სატახტო პროგრესიულ ჟურნალ-გაზ., 2) გაზეთებში დასასტამბათ განცხადებებს კერძო პირების და დაწესებულებათაგან, 3) წიგნებს საკომისიოდ და 4) ყიდის ცალკე ნომრობით ადგილობრივ და სატახტო უფრო გავრცელებულ პროგრესიულ გაზეთებს იმ ფასებში, რაც ზედ აწერია.

ის. კვიცარიძე.

წიგნების მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა

**„იმედი“**

ქალ. ოზურგეთში.

ღებულობს: 1) ხელის-მოწერას მთელ მაზრისათვის ყველა ადგილობრივ და სატახტო ქალაქების პროგრესიულ ჟურნალ-გაზეთებზე, 2) გაზეთებში დასასტამბათ განცხადებებს კერძო პირებისა და დაწესებულებებისაგან, 4) წიგნებს საკომისიოთ და 4) ყიდის ცალკე ნომრობით გაზეთებს იმ ფასებში, რაც ზედ აწერია.

ივ. ღლონტი.

გამოვიდა და იყიდება ახალი რუსული წიგნი

**Оглянемся назадъ**

ურიბისა.

ფასი 20 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა სომხურ პოლიტიკურ, საზოგადო და საე... ნომიო ახალ გაზეთზე

**„კაიწ“** (ნაპერწკალი)

რომელიც ჯერ-ჯერობით გამოდის კვირაში ორჯელ

სოლოლაკის ქუჩა, № 1